



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯადისბბაჟ უსაბაგლსია.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 28-29 სექტემბერი. 2019 წ. №193 (8858)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი



ტრიუმფი

ივ. 10 83.

„ეს გამარჯვება სო-
სუმის გმირებს მი-
ვუძღვენი. მჯერა, რომ
მათ მიერ დაღვრილი
სისხლი ამოდ არ ჩაივ-
ლის და გამთლიანებუ-
ლი იქნება ჩვენი საქარ-
თველო“, — ეს განცხა-
დება მსოფლიო ჩემპი-
ონატის სამგზის რე-
კორდსმენმა და გუ-
შინდელი დღის გმირ-
მა ლაშა ტალახაძემ
პატაიაში მიღწეული
წარმატების შემდეგ
გააკეთა.

ლაშა ტალახაძე:

27 სექტემბერი

სოსუმის

**დასაქმის დღეა და წაბაბის
უფლება არ მქონდა!**

ილია მეორე: ღვთის მადლით, ჩვენ შეხვედებით აფხაზეთში

ჯვართამაღლების დღესასწაულ-
თან დაკავშირებით სამების საკათედ-
რო ტაძარში სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეო-
რემ მღვდელმსახურებთან ერთად
წირვა აღავლინა. ღვთისმსახურების
დასრულების შემდეგ პატრიარქმა
მრევლს ტრადიციული ქადაგებით მი-
მართა.

„მე შევთხოვ უფალს, რომ უფალმა
ძალი ერსა თვისსა მისცეს. უფალმა
აკურთხოს ერი თვისი. ჯვარი უფლისა
ეს არის ძალა ღვთისა. ყოველი ადამი-
ანი, ყოველი ერი არის მტვირთველი
ჯვარისა. გისურვებთ, რომ ჯვარი ბოლომდე მივიტანოთ. კვა-
რი იყოს მფარველი ჩვენი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯვრის
ტვირთვა გოლგოთაზე არ მთავრდება. ვინც იტვირთავს ჯვარ-
სა, იმას მოულის აღდგომა და ამაღლება. ღმერთმა მოგვცეს ძალა.
დღეს არის აფხაზი გმირების დღესასწაული. იმათი ლოცვა შე-
ენევა საქართველოს, იმათი ლოცვა გახსნის გზას, იმათი ლოც-
ვა აღამაღლებს ყოველ დაცემულ ადამიანს. იმათი ლოცვა ქმნის
სასწაულს და ღვთის მადლით, ჩვენ შევხვდებით აფხაზეთში“, —
აღნიშნა ილია მეორემ.

წირვის შემდეგ ილია მეორემ აფხაზეთის დაცემის დღეს და-
ღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.



გიორგი გახარია: ყველაზე მკიბე და მტკივნეული დღე!

მშვიდობა არის ის, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია რო-
გორც ქართველებისთვის, ასევე აფხაზეთისთვის, — ამის შესახებ
საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სოხუ-
მის დაცემის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ტერი-
ტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემო-
რიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ მედიასთან განაცხადა.

„არა აქვს მნიშვნელობა თაობას, ეს ის დღეა, როდესაც 26 წლის
წინათ, 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ჩვენ
ბევრი რამ ვისწავლეთ, გავიზარდეთ — როგორც ჩვენ, ასევე აფხაზები.
ბევრი რამ გვაერთიანებს, და გვაერთიანებს იმის გაგება და შეგრძნე-
ბა, რომ ომი იყო ჩვენი ყველაზე დიდი ტრაგედია. ეს არის ის ფუნდა-
მენტი, რომელზეც ჩვენ შემდგომში უნდა ავაშენოთ ერთიანი სახელმ-
წიფო. ეს არის კიდევ ერთი ფუნდამენტი, რომელზეც შეგვიძლია
ვთქვათ, რომ მშვიდობა არის ის, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია
როგორც ქართველებისთვის, ასევე აფხაზეთისთვის. ამიტომ, ჩვენთ-
ვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითოეულმა მოქალაქემ გავიაზროთ
— ომი არ არის გამოსავალი. 24-საათიანი მძიმე შრომა, ქვეყნის აშენე-
ბა, დემოკრატიული ინსტიტუტები, ძლიერი საქართველო, ერთიანი სა-
ქართველო — ეს არის ის, რასაც ჩვენ ერთად უნდა ვემსახუროთ“.




აშშ-ის საელჩო: ვიზიარებთ სოხუმის დასაქმის დღის მწუხარებას

„26 წელი გავიდა 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის და-
ცემის დღიდან. ჩვენ პატივს მივაცხადებთ ათობით ათასი დაღუ-
პულის სსოფნას და ასობით ათას ადამიანს, რომელმაც იძულებ-
ით დატოვა სახლ-კარი. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი მეგობრის,
საქართველოს გვერდში დგომას და ვიზიარებთ ამ დღის მწუ-
ხარებას“, — აცხადებენ საელჩოში.


**ანჟორ
თოთაძე: 5** გადავრჩებით თუ აღვიბავებით
პირისაგან მინისა?

**რას გვეჩივან
სოფისი ქვები?**
დაჩემა მტახელოზაზე უარსია



„სოკარის“ საინვესტიციო პროექტები

საპარტიველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ პრეზიდენტს რონაგ აბდულაევს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა „სოკარის“ მიერ საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პროექტები იყო.



შეხვედრას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი

მაქსიმ მამედოვი, „სოკარის“ ინვესტიციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვაგიფ ალიევი და აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებანი ელჩი საქართველოში დურსუნ ჰასანოვი დაესწრნენ.

სერგეი ლავროვთან შეხვედრა შედა სრულ სინქრონი...

იმედს გამოვთქვამ, რომ ეს შეხვედრა, რომელიც შედგა გენერალური ასამბლეის შტაბბინაში, ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთულესი პრობლემების მოგვარებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრასთან დაკავშირებით, უურნალობის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის საერთაშორისო კანონმდებლობა და მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორებთან.

„ცხადია, რომ ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის საერთაშორისო წესები, საერთაშორისო კანონმდებლობა და, რა თქმა უნდა, მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს პარტნიორებთან. ამ სულისკვეთებით შედგა ეს შეხვედრა, სრულ სინქრონი ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. სწორედ ამიტომ, ჩვენ დღეს, ამ გადმოსახედიდან, სწორედ 27 სექტემბერს უნდა გვესმოდეს, რომ ომი არ არის გამოსავალი. ცივი, პრაგმატული პოლიტიკაა ის პლატფორმა, საიდანაც უნდა ველაპარაკოთ ყველას, რათა ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და დემოკრატიული განვითარებისთვის ჩავყაროთ საფუძველი“, –

განაცხადა გიორგი გახარიამ. ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში, შვეიცარიის კონფედერაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს გუშინ შეხვდა. როგორც დავით ზალკალიანი აღნიშნა: „სტრატეგიულ პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ ლავროვთან შეხვედრა იქნებოდა პირველი შესაძლებლობა, ასეთ დონეზე რუსეთისთვის პირდაპირ გვეთქვა სათქმელი“.



მამუკა ხაზარაძე აფხაზთა და ქართველთა შერიგების დღის დანახვის ინიციატივით გამოდის

საზომბალომბრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელი სოსუმის დაცემის დღეს ბეზიანება. „26 წელი გავიდა სოსუმის დაცემის შემდეგ. 26 წელი გავიდა და ჩვენ ისევ ვერ მოვიშუშეთ ტკივილი, რომელიც აფხაზებისა და ქართველების სისხლისღვრას მოჰყვა, ომი, რომელიც რუსეთის იმპერიამ და მისმა აგენტურამ მოგვანახია თავს. ჩვენ დაგვსაჯეს თვითგამორკვევისთვის, დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის. დადგა დრო, 26 წლის შემდეგ მაინც ვუთხრათ ჩვენს აფხაზ ძმებს, რომ ეს თავსმოხვეული ომი იყო, უდიდესი შეცდომა, რომ დღეს ერთმანეთს უნდა შევეუდოთ, რომ ამ ომში დაღუპული ქართველი და აფხაზიც ერთნაირად გვტკივა, რომ აფხაზის საფლავს, ისევე დავი-

ტირებთ, როგორც ქართველის. მიზნა, პატივი მივაგო ყველა იმ ადამიანს – კაცსა და ქალს, ვინც საკუთარი ოჯახისთვის, იდეისთვის, ღირსებისთვის იბრძოლა და დაიღუპა. ჩვენ დღეს ერთი უნდა გავხდეთ და ვუთხრათ ერთმანეთს მთავარი სათქმელი. სიტყვა, რომელიც ჩემმა აფხაზმა მეგობარმა მასწავლა: ჰაიგამზა – ჩვენ განუყოფელი ვართ! ვთავაზობთ, დაინიშნოს აფხაზთა და ქართველთა შერიგების დღე, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ მოვინანიებთ, მივუტყვევებთ ერთმანეთს და ენგურის ხიდთან აღვმართავთ სადა, მაგრამ სიმბოლოურ მონუმენტს, იმის ნიშნად, რომ მალე ეს კედელიც დაინგრევა, რომ ეს რუსული ბლოკ პოსტიც აღარ იარსებებს ჩვენს შორის და რომ ერთობა, მეგობრობა, სიყვარული ყველაფერზე იმარჯვებს“, – წერს მამუკა ხაზარაძე.

თბილისის მერიამ „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განვითარებაზე დაიწყო მუშაობა

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, თბილისის მერიამ გერმანულ სპეციალისტებთან ერთად „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განვითარებაზე დაიწყო მუშაობა. გერმანულმა კომპანია „გოპამ“ უკვე დაიწყო კვლევა გერმანიის სახელმწიფო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით. უცხოელი სპეციალისტების მიერ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილ პრეზენტაციას გუშინ თბილისის მერის

მოადგილე მაია ბითაძე დაესწრო. კვლევის მიზანია, ქალაქში არსებული ერთიანი სატრანსპორტო კომპიუტერიზებული, ე.წ. „ჭკვიანი“ სისტემების შესწავლა და მათი თანამედროვე სტანდარტებით განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს 2020 წლის თებერვალში გადაეცემა. თბილისის მერია 2020 წლიდან სატრანსპორტო ნაკადების მართვის კომპლექსურ პლატფორმის

შექმნას გეგმავს. შუქნიშნების მართვის ცენტრთან დაკავშირებული „ჭკვიანი შუქნიშნების“ ქსელის, ტრანსპორტის ალმრიცხველი, გამონაბოლქვის დეტექტორებისა და ცვლადი საინფორმაციო ნიშნების – ტაბლოების მეშვეობით შესაძლებელი იქნება ნაკადების მართვა, ავტოტრასების სწრაფი და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო სქემების ოპერატიულად კორექტირება.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“

მოხალისე მასწავლებელთა ახალ ჯგუფს საორიენტაციო ტრენინგები უტარდება. პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილეები ქართული ენის მოკლე კურსის ინტერაქტიულ კომუნიკაციასა და მეთოდოლოგიას ეცნობიან. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 40 მოხალისე მასწავლებელი საქართველოს რვა რეგიონის

საჯარო სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელში განაწილდება. პროგრამა 2010 წელს ამოქმედდა. მოხალისე მასწავლებლები ცხოვრობენ მასპინძელ ოჯახებში და დასაქმებული არიან საქართველოს საჯარო სკოლებში, სადაც უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან და თემის სხვა წევრებთან თანამშრომლობით, აქტიურად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში.

საჯარო სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელში განაწილდება. პროგრამა 2010 წელს ამოქმედდა. მოხალისე მასწავლებლები ცხოვრობენ მასპინძელ ოჯახებში და დასაქმებული არიან საქართველოს საჯარო სკოლებში, სადაც უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან და თემის სხვა წევრებთან თანამშრომლობით, აქტიურად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში.

© ვინაა დასაცავი?

რინგ-ტაქსის ქალები

წმინდანად შერაცხილი ქეთევან წამებულის სხენების დღეს საქართველოს პარლამენტში განვითარებულ სამარცხინო მოვლენებს გუშინ არანაკლებ ამაზრზენი გაგრძელება მოჰყვა. თუმცა, მოდით, ვერ აღნიშნული სკანდალის დასაწყისს დაფურცუნდეთ.

ალბათ, გახსოვთ ჩვენი სიყმანვილისდროინდელი კრისტიან ჟაკის კინოშედევი „მენავთობე ქალებში“ უმშვენიერესი კლაუდია კარდინალესა და ბრიჯიტ ბარდოს მონაწილეობით გადაღებული დაუვიწყარი კადრები, რომელშიც ისეთი ძიძგილობაა ასახული, ბევრ მამრსაც კი რომ შეშურდება. დეპუტატ ბესელიასგან განსხვავებით, დასახლებული ვარსკვლავები მსახიობები არიან და როლებს ასრულებდნენ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ თბილისში რეალური სცენარი გათამაშდა, რომელიც ქართულ პარლამენტარებზე მარადიულ ლაქად გაჰყვება?



სამწუხაროდ, უმრავლესობის ყოფილი წევრი გამონაკლისი როდია „სუსტი სქესის“ წარმომადგენელ კოლეგათა ამქარში, კუნთებზე რომ იყურებიან და ნებისმიერი ალელგებისას პოტენციურ საფრთხედ აღიქმებიან. მართლაც, ვინაა დაზღვეული, რომ ანალოგიურ ვითარებაში ელენე ხოშტარია, თინა ბოკუჩავას, სალომე სამადაშვილის ან ირმა ნადირაშვილის მუშტს არ იგემებს? მით უმეტეს, იმ ეპოქაში, როცა საქართველოში უკვე ფართოდ დაინერგა სპორტის ძალისმიერი სახეობები? დაგვეთანხმებით, ერთობ საინტერესო იქნება, თუ ვინმე ღვთისნიერი ინიციატორი შიდასაპარლამენტო ტურნირის ორგანიზებას იკისრებს და საზოგადოებას ამ ენერგიაშობილ ბანოვანთა მონაწილეობით გამართული ორთაბრძოლებით დაატკბობს.

რაც შეეხება გუშინდელ მეორე ტაიმს, აბა, ისე როგორ იქნებოდა, ყველაფერში ცხვირის ჩაყოფით დაკავებულ არა (უფრო სწორად – ანტი) სამთავრობო ორგანიზაციებსა და ვითომ ევროპული ლიბერალიზმის ერთგულ პოლიტიკურ ძალებს აღნიშნული შემთხვევა სათავედ არ გამოეყენებინათ და გენდერული თანასწორობის დაცვის საბაზით მხარი ყოფილი ადვოკატისთვის არ დაეჭირათ, რომელსაც ამჯერად დასაცავი არაფერი სჭირდა და, პირიქით, აშკარა მოძალადედ, თავდამსხმელად მოგვევლინა.

ისე, რაღა უჭირს ანი დამოუკიდებელ დეპუტატად ქცეულ ქალბატონ ეკას, რომელსაც თანადგომა სოროსელებთან ერთად თვით ხოშტარიამ გამოუცხადა! მართლაც, საუცხოო აჯაფსანდალია!..
გია პლატონიშვილი

ეროვნულმა ბანკმა გუშინ 40 მილიონი დოლარი გაყიდა

საპარტიველოს ეროვნულმა ბანკმა გუშინდელ სავალუტო აუქციონზე 40 000 000 აშშ დოლარი გაყიდა. ბანკის ცნობით, საშუალო შენონილმა გაცვლითმა კურსმა 2.9546 შეადგინა.

ეროვნულმა ბანკმა გუშინ გაავრცელა განცხადება, რომელშიც განმარტა, რატომ გაყიდა დღევანდელ სავალუტო აუქციონზე 40 მლნ აშშ დოლარს. „ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის არსებულის დონე კვლავ მნიშვნელოვან ინფლაციურ ზენოლას ქნის. ამ ზენოლის გასაწესებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აწ. 25 სექტემბერს რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით გაზარდა. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედების გასაძლიერებლად, ეროვნული ბანკი 27 სექტემბერს სავალუტო აუქციონზე 40 მილიონ აშშ დოლარს გაყიდის“, – აღნიშნული იყო განცხადებაში. ეროვნული ბანკის ცნობით, უწყება თანმიმდევრულად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

თანამედროვე სტანდარტების სკოლა შუახევში

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შუახევის მუნიციპალიტეტში ბარათაულის, ჭვანას და წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობას შეხვდა.

პროექტი „ლია შეხვედრები“ ორ თვეზე მეტია საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მოსახლეობის საჭიროებების გაცნობას და

მთავრობის თავმჯდომარე აჭარის განათლების მინისტრთან და მთავრობის წევრებთან ერთად შუახევში ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების პროცესს გაეცნო. სკოლა 240 მოსწავლეზეა გათვლილი და აღჭურვილი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სკოლაში ასევე, მოეწყობა სააქტო დარბაზი, დახურული და ღია სპორტული სივრცეები.

შენობა უზრუნველყოფილი და სრულად ადაპტირებული იქნება. პროექტის ღირებულება 2 171 873 ლარია. პროექტი 2021 სასწავლო წლისთვის დასრულდება. შუახევის მუნიციპალიტეტში 2020 წელს სამომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას ამ საჭიროებების გათვალისწინებას.



ქართული თვითმფრინავები წელიწადნახევარში სამყაროს მოექლინებინან

ნარმატივულმა ქართველმა სამრეწველო დიზაინერმა ზამიად ციპოლინამ საკუთარი გამოცდილება ქუთაისელ სტუდენტებს გაუზიარა. მან ლექცია სახელწოდებით „გზა წარმატებისკენ“ ქალაქის ცენტრალურ ბულვარში გამართა, მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო გეგმების შესახებ კი Ipress-თან ისაუბრა.

– პირველად უნდა გკითხოთ იმ პროექტის შესახებ, რომელიც ქუთაისში ავტომობილების გამოშვებას ითვალისწინებს, უკვე ვიცით, რომ დიზაინზე თქვენ მუშაობთ. როდის ჩაეშვება წარმოებაში სრულად ქართული ავტომობილი?

– ეს იქნება ჩანგანის არსებული მოდელი, რითაც ქარხანა დაიწყებს ფუნქციონირებას, შემდეგ გეგმაშია გარდამავალი მოდელი, მე-3 ეტაპზე კი სრულად ქართული ავტომობილი ჩაეშვება წარმოებაში. ჩემი ინფორმაციით, პროცესები დაჩქარებული წესით მიდის, ოფიციალური პროცედურები მიმდინარეობს და სექტემბრის ბოლოდან უკვე სანარმოს მშენებლობაც დაიწყება.

– თანამედროვე გამოწვევების ფონზე რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ?

– მოგესხენებათ, მთელი მსოფლიო ელის ახალ მოდელს, ბევრი კომპანია ამ ჭიდილში ჩაბმული. ძალიან პერსპექტიულია ის მოდელი, რაც ქუთაისში უნ-

და გამოვიდეს. დარწმუნებული ვარ, თავისი ხარისხით კონკურენციას გაუწევს ბევრ ცნობილ ბრენდს. ქვეყანამ შეესაძლოა, შედეგი მალე ვერ იგრძნოს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრ სიკეთეს მოიტანს. ავტომობილის ინდუსტრია ეკონომიკაზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს. ასე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც.

– ამჯერად სხვა რომელ პროექტზე მუშაობთ?

– აიგრუპის დახმარებით 2 თვითმფრინავის პროექტი კეთების პროცესშია. მალე საზოგადოებას წარვუდგენთ. ყველაფერი კეთდება საქართველოში ჩვენი ინტელექტუალური ძალებით. წელიწადნახევარში უკვე სამყაროს მოექლინებინან.

– როგორ ფიქრობთ, სამრეწველო დიზაინი, როგორც სფეროს განვითარება, საქართველოში რა ეტაპზეა?

– რთულია ამ თემაზე საუბარი. ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული მრეწველობასთან. მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობა აძლევს დიზაინერს განვითარების შესაძლებლობას. ძალიან სერიოზული სამუშაო აქვს თითოეულ მენარმეს, აქტიურად უნდა ითანამშრომლონ დიზაინერებთან, მხოლოდ ეს მოიტანს სასურველ შედეგს.



მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას ამ საჭიროებების გათვალისწინებას.

საქართველოში „ევრაქსის“ წარმოება და ინოვაციების ორგანიზაციაში განვითარების შემდეგ, „ევრაქსის“ წარმომადგენლობა – „ევრაქსის“ ჯორჯია ფუძნდება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში და ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას.

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის თებერვლიდან „ევრაქსის“ პლატფორმაზე განხილდება საქართველოს დროშა, რომლის ქვეშ განთავსდება ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიმდინარე პროექტებისა და კონკურსების შესახებ.

ქართველ მეცნიერებს ასევე, ექნებათ პირდაპირი წვდომა ევრაქსის წევრ 40-ზე მეტი ქვეყნის სამეცნიერო ფონდებსა და მრავალმილიონიან კვლევით პროექტებზე, მათ შორის პროგრამა „Horizon 2020“-სა და მის ქვეპროგრამებზე. პლატფორმაზე ინტეგრაციისთვის ევროკომისიის მიერ გამოყოფილია გრანტი 200 000 ევროს ოდენობით.



ლარის გასაყარებლად ნაბიჯები იღებება, გაბრამ შედეგი მაინც არ ჩანს!!!

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 0.5%-ით გაიზარდა. ამით იმ მოქალაქეებს, ვისაც ეროვნული ვალუტის სესხი ცვლად განაკვეთზე ჰქონდა მიზმული, კრედიტის მომსახურება გაუძვირდება, თუმცა ეს არ არის სესხის სადარდებელი. გვერტაძის უწყება ახლა ტყავში ძვრება და ცდილობს, მთელ ქვეყანაში კატასტროფულად არ გაძვირდეს ცხოვრება და ინფლაცია არნახულ ზღვარზე არ ავიდეს.

ამიტომაც საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2019 წლის 25 სექტემბრის ნიგვარზე სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით, 7.5 პროცენტამდე გაზარდის გადაწყვეტილება მიიღო.

„მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გასულ სხდომაზე ეროვნულმა ბანკმა დაიწყო პოლიტიკის გამკაცრება, რაც გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განვითარებას ისახავს მიზნად. როგორც კომიტეტის 4 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებაში იყო აღნიშნული, პოლიტიკის გამკაცრება გაგრძელდება ინფლაციაზე გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლის აღმოფხვრამდე. ამავ დროს, კომიტეტმა, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარულად სხდომის ჩატარების შესაძლებლობაზეც აღნიშნა.“

კომიტეტის გასული სხდომის შემდეგ ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურებულ დონეზე წარჩუნდება, რის გამოც, ინფლაციური მთაბინი კვლავ სახეზეა. აქედან გამომდინარე, დღევანდელ რეგულარულ სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზარდის გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში აკვირდება ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებიდან მომდინარე ინფორმაციას და საჭიროების შესაბამისად გამოიყენებს მის

ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

საგარეო სექტორის მონაცემები კვლავ პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს. კერძოდ, აგვისტოს თვეში გაგრძელდა საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება, რაც მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასთან ერთად, მოლოდინების არხით ხელს უწყობს გაცვლითი კურსის გამყარებას და, შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის სასურველ დინამიკას უზრუნველყოფს“, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

სავალუტო და სამომხმარებლო ბაზარზე ვითარება უმძიმესია. ქვეყანაში ყველა უწყება, საფინანსო კომპანია, ანალიტიკოსები თუ ექსპერტები ერთხმად ამბობენ, რომ ლარი ზედმეტად არის გაუფასურებული



და რეალური კურსი 20-25 პუნქტით დაბლა უნდა იყოს, მაგრამ ეროვნულ ვალუტას გამყარების ნიშანწყალი არ ეტყობა. უკვე ბანკირებიც კი პირდაპირ ამბობენ, რომ ამჟამინდელი დევალვაცია ნორმალური მოვლენა არ არის და ლარის გამყარებას პროგნოზირებენ, თუმცა ვადებს არაფერს ახსენებენ. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე ამბობს, რომ ლარის კურსთან მიმართებაში საგარეო ფაქტორები ისეთია, რომ ეროვნული ვალუტა 2.7-2.8-ის ფარგლებში უნდა ტრიალებდეს. ეროვნული ვალუტა გამყარებისკენ უნდა წავიდეს და ამ კუთხით ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

„კარგად გვესმის, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება არ არის მარტივი მსესხებლისთვის და მათ უძვირდებათ ცხოვრება. შესაბამისად, ამ კუთხით ბალანსის დაცვა, ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის განხილვა არის მნიშვნელოვანი. თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეკონომიკის მონაწილე მხარეებმა დაინახონ, რომ ეროვნული ბანკი აქტიურობს და გადაკეთებს ყველაფერს, რაც მის ხელთ არის. ეს საჭიროა, რომ ლარის მიმართ რწმენა აღდგეს და გაძლიერდეს“, – აღნიშნა „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა.

არჩილ გაჩეჩილაძის თქმით, დღეს ეროვნულ ვალუტაზე უარყოფით გავლენას საგარეო ფაქტორები არ ახდენს და საგარეო შოკები სახეზე არ არის. „საგარეო შოკები არ გვაქვს. პირიქით, ექსპორტი გაზრდილია, იმპორტი შემცირებულია. ყველანაირი ფუნდამენტური მიზეზი არსებობს, რომ ლარი გამყარდეს. უბრალოდ, საჭიროა, საბაზრო ეკონომიკის ყველა მონაწილემ დაიჯეროს, რომ სწორი გადაწყვეტილებების მიღება ხდება და როგორც კი ეს რწმენა გაძლიერდება, დარწმუნებული ვარ, ლარიც გამყარდება“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

გიგა დანელია

დიდი შეთანხმება ტყიბულში

ინვესტორმა ვალეხის გადაიბარა და მაღაროებსაც აამოქმედებს



სო დავლიანების გასტუმრებას.

ტყიბულში მალაროელთა გაფიცვა შეწყდა და ახალი ინვესტორიც გამოჩნდა. კომპანია „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ ხელმძღვანელობა ინფორმაციას ადასტურებს. კომპანიის აქტივები ახალ ინვესტორს — „სთილ ინტერნეიშენლ თრეიდ კომპანის“ გადაეცემა. ახალი ინვესტორი ნოემბრის თვეში გეგმავს წიაღისეულის მოპოვების დაწყებას, ხოლო ორშაბათიდან სახელფა-

სო დავლიანების გასტუმრებას. ტყიბულში მყოფი ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა მთელი დღე მოლაპარაკების პროცესში იყო ჩართული და საბოლოო ჯამში მალაროელებს პირობა მისცა, რომ 3 დღეში დავალიანება დაიფარება.

„ინვესტორი კომპანია, რომელიც შემოდის ტყიბულში, მალაროელებთან ერთად დაიწყებს შახტებში ჩასვლას და არსებული ვითარების შესწავლას. მზადყოფნაა, რომ ორშაბათს სახელფასო დავალიანება იქნეს გასტუმრებული. კომპანიამ იკისრა ვალდებულება, რომ დაფაროს

გარკვეული სოციალური გადასახადებიც, მათ შორის დაზარალებული ოჯახების წინაშე.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაიდო გეგმა, აღდგეს ქვანახშირის მოპოვება და ეს არის ძალიან დამამტკნებელი, რადგან პრაქტიკულად, ერთ წელიწადზე მეტია, მალარო გაჩერებულია. დაიწყება მოპოვება და უახლოეს 2 წლის განმავლობაში მოხდება მალაროების გაფართოება“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

„რაც შეეხება ახალი ინვესტორი კომპანიის ვინაობას, ეკონომიკის მინისტრი

აცხადებს, რომ ეს არის კომპანია, რომელსაც „გამოცდილება აქვს სხვადასხვა წიაღისეულით ვაჭრობაში. ეს არის საკმაოდ გამოცდილი ქართული კომპანია, მათ ჰყავთ უკრაინელი პარტნიორები, ვისაც ასევე დიდი გამოცდილება აქვს უკრაინაში ნახშირის მალაროების მართვის, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის“, — განუცხადა „ბიემს“ მინისტრმა.

ახალი ინვესტორი უკვე ნოემბრიდანვე გეგმავს წიაღისეულის მოპოვების დაწყებას. ამასთანავე კომპანია მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ობიექტის სტრატეგიული განვითარების გეგმას წარადგენს. რასაკვირველია, კომპანია იღებს ვალდებულებას, მალაროელთა სახელფასო დავალიანებებიც გადაიხადოს, რაც 1,2 მლნ ლარს შეადგენს.

ტყიბულის მალაროთა ახალმა ინვესტორმა „ჭიათურის მანგანუმთან“ კავშირი სასწრაფოდ უარყო „სთილ ინტერნეიშენლ თრეიდ კომპანის“ წარმომადგენელმა ალექსანდრე ჩოჩიამ ალნიშნა, რომ ჭიათურის მალაროებთან მათ კომპანიას არა აქვს კავშირი.

კითხვაზე, რა გამოცდილება აქვს თავად ქართულ კომპანიას, ის პასუხობს, რომ ბაზარზე 2 წელია, არსებობენ, თუმცა გუნდის წევრებს უფრო დიდი გამოცდილება აქვთ და ისინი უკვე დიდი ხანია ნახშირის ვაჭრობით არიან დაკავებული არა მარტო პოსტსაბჭოთა, არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნებშიც.

ბემა დანელია

მსოფლიო ეკონომიკა ყანყალაბს!..

2021 წელს ახალი გლობალური კრიზისი დაიწყება!

თუმცა, საყურადღებო ნიშნად — ამის მიზეზია ის, რომ სამხრეთ კორეის ყველაზე მსხვილი საექსპორტო პროდუქტია არის ავტომობილები და ნახევარგამტარები — მათზე მოთხოვნა საკმაოდ კარგად ასახავს ეკონომიკურ აქტივობას სხვა ქვეყნებში.

„ეს პროდუქტია არის მსხვილ შენაძენებზე მოთხოვნის კარგი ინდიკატორი — ავტომობილების ყიდვა ნიშნავს მომავლის რწმენას, რადგან ადამიანი, რომელსაც უშინა სვალინდელი დღის, როგორც წესი, მანქანას არ ყიდულობს, რაც შეეხება ნახევარგამტარებს, ისინი აქტიურად გამოიყენება საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებაში. მათზე მოთხოვნის შემცირება ნათლად ნიშნავს ამ ტიპის პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირებას. როდესაც ადამიანები ყიდულობენ ნაკლებ მანქანებს და ნაკლებ მაცივრებს — ეს უკვე რაღაცაზე მეტყველებს“ — მიიჩნევენ FxPro-ს ანალიტიკოსები.

ასევე უკვე ზედიზედ მეორე თვეა, მცირდება ნავთობქიმიის პროდუქტების, დისპლეების და მობილური ტელეფონების ექ-

სპორტი. საგარეო ვაჭრობის გაუარესებას ხელი შეუწყობს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ფასების ვარდნა, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება განვითარებულ ქვეყნებში და ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელება.

თუმცა, ამავე დროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ექსპორტის ვარდნა გააღრმავა იმანაც, რომ ამ წელს ეროვნული დღესასწაული ჩხუსოკი აღინიშნება სექტემბერში. ასევე ისხენებენ იმასაც, რომ სამხრეთ კორეის ექსპორტი იყო შედარებით დაბალ დონეზე ჯერ კიდევ 2015-2016 წლებში, თუმცა ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილებების წყალობით, 2 წელიწადში ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა.

„დღეს სიტუაცია მცირდება — ცენტრალური ბანკი ისევ ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს და ამით ცდილობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას“ — მიიჩნევენ ექსპერტები.

გლობალური რეცესიის მოახლოების კიდევ ერთი ნიშანია



საქმიანი აქტივობის დაბალი ინდექსი განვითარებულ ქვეყნებში — ეს მაჩვენებელი დგინდება მრეწველობაში და სერვისში მომუშავე მსხვილი კომპანიების მენეჯერების ყოველთვიური გამოკითხვის საფუძველზე — ინდექსის ჩამოსვლა 50 პუნქტზე ქვემოთ აქტივობის შენელებად ითვლება.

ევროზონაში საწარმოო სექტორში ინდექსი დაეცა 45,6-მდე, რაც ყველაზე დაბალი დონეა ბოლო 7, ხოლო გერმანიაში — 10 წლის მანძილზე.

„ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ გერმანიის მრეწველობა უკვე იმყოფება რეცესიაში, ხოლო მთლიანად ევროკავშირში ინდექსის ასეთი მკვეთრი შემცირება ნიშნავს მაღალ რისკებს — გერმანიას შეიძლება დაწარჩენი ევროპა მიჰყვეს“ — აცხადებენ FxPro-ს ანალიტიკოსები.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საქმიანი აქტივობის ინდექსი ჩამოვიდა 50 პუნქტზე ქვემოთ პირველად 3 წლის მანძილზე, რის გამოც ფედერალური რეზერვი არ გამოირიცხავს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. „გაურკვეველობის გამო მცირდება ინვესტიციები, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს ეკონომიკის შემცირება, შესაბამისად, უმუშევრობის ზრდა და სამომხმარებლო ბაზრის შემცირება. ასე რომ, გლობალური ეკონომიკური ვითარება საკმაოდ რთულია“ — მიიჩნევენ ექსპერტები.

ანალიტიკოსების აზრით, ბოლო 12 თვის მანძილზე მსოფლიო ეკონომიკაში გამოჩნდა იმის უტყუარი ნიშნები, რომ 2021 წელს ისევ ახალი გლობალური კრიზისი დაიწყება.

RAMBLER.U

ბათუმში ლიტერატურული კონკურსი იხსნება

ბათუმში ლიტერატურულ კონკურსს უმასპინძლებს კონკურსი პოეზიასა და პროზაში წელს მეთორმეტედ ჩატარდება. კონკურსანტები მონაწილეობენ როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. ჟიურის პირველადი შეფასების შედეგად 572 ავტორიდან, ფინალისტები უკვე

„ეს ქვეყანა შენია!“ — ეროვნულ გიგანობაში

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუშინ კამპანიის — „ეს ქვეყანა შენია!“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც სამოქალა-

ქო საზოგადოების გაძლიერებას ემსახურება.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე, მისასალმებელი სიტყვით საქართველოში ევროკავშირის ელჩის მოადგილე კატალინ გერმანი გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირი ამ მიმართულებით საქართველოს ახლო მოკავშირეა.



ბატონო ანზორ, ჩვენს მკითხველებს, თქვენთან, როგორც დემოგრაფთან, ერთი მთავარი კითხვა აქვთ: მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ფონზე, რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

მსოფლიო საზოგადოებრიობა შიშს გამოთქვამს მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია, ხოლო შემდეგ თანდათანობით შემცირება იქნება ყველაზე დიდი განძი საერთო მშვიდობისა და აყვავების საქმეში, რადგან მოსახლეობის უაღრესად სწრაფი მატების პირობებში ბუნება ვეღარ ასწრებს ადამიანის მიერ მოხმარებული რესურსების აღდგენას, განუწყვეტილ იზრდება მოთხოვნა ნედლეულზე, სათბობზე, ენერჯიაზე, მასალაზე, საკვებ პროდუქტებზე. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე დაიწყო მსჯელობა, რომ ადამიანსა და ბუნებას შორის ნორმალური ურთიერთობისთვის დედადინაზე მოსახლეობა 1,5 მილიარდის ფარგლებში უნდა ცხოვრობდეს.

მომდევნო თაობების რიცხვი ნაკლებია წინათობაზე. როგორც დემოგრაფები მიუთითებენ, ეს ნიშნავს მოსახლეობის თვითმკვლევობას, ერებისა და მისი კულტურის გაქრობას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი აღნიშნავდა, რომ „ევროპა დემოგრაფიულად ქრება“. ამ მხრივ დიდ საშიშროებას გამოთქვამენ რუსი დემოგრაფები. მათი აზრითაც, რუსეთი, ისევე როგორც მთელი ევროპა, აგრეთვე „დემოგრაფიულად ქრება“. ამასთან, „ისტორიული საზომით, არც ისე დიდი დრო დასჭირდება რუსეთის მთლიან დემოგრაფიულ გაქრობას – 100-150 წელი“. ამავე აზრისაა ცნობილი რუსი დემოგრაფი ვ. ბორისოვი.

საქართველოში უარესი მდგომარეობაა – საქმე გვაქვს არა მარტო მოსახლეობის დემოპულაციასთან, არამედ მეტად ინტენსიურ ემიგრაციულ პროცესებთანაც და რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, მის დემოგრაფიულ გაქრობას რამდენიმე ათწლეული დასჭირდება. ოფიციალური მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ და მეტად სავალალო შედეგი მივიღეთ – დემოგრაფიული მონაცემების არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში საქართველოს რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტი (ქალაქების – თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის გარდა) 41 წელშია და მთლიანად გაუკაცრიელდება. ასეთი კატასტროფული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით, ჩვენ სრულიად უფასოდ, უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად შევადგინეთ „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა“, რომელიც 2018 წელს დაეგზავნა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, პარლამენტარებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს. სრულიებითაც არ ვფიქრობდი, და ეს მიმართვაშიც აღვნიშნე, რომ პროგრამა იყო უნაკლო და შეცდომებისგან დაზღვეულია. ალბათ, პროგრამაში დასამარცხებელი და გამოსაკლები წინადადებებიც დაიძებნებოდა, მოტანილი ღონისძიებათა სხვაგვარი ინტერპრეტაციაც გახდებოდა და საჭირო. მიგვაჩნდა, რომ მთლიანობაში პროგრამა თანამედროვე დემოგრაფიულ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით და ეროვნულ ინტერესებთან შეხამებით იყო შემუშავებული. ვიმედოვნებდით მთავრობის მიერ სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნას, რომელიც საბოლოო სახეს მისცემდა პროგრამას და ხელისუფლება გამოავლენდა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამის პრაქტიკული განხორციელების პოლიტიკურ ნებას. არადა, სასწრაფოდ საჭიროა ასეთი პროგრამის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც არ უნდა დიდი სახსრები გავიღოთ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის, დაგვიანებული იქნება და ვითარებას ვეღარ შემოვბარუნებთ. ყველას უნდა გავსოვდეს, ყველამ

ცნობილ ქართველ დემოგრაფს ანზორ მირიანაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს საბაბით თარიღი იუბილარს ბევრმა მიულოცა. მეტიხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ ამონაწერს ინტერნეტიდან, რომელიც საქართველოს დემოგრაფიული აღორძინებისა და განვითარების ფონდის პრეზიდენტს, ქალბატონ მამარ ჩიბურდანიძეს ეკუთვნის:

„გილოცავთ, ბატონო ანზორ! სხვა ქვეყანაში, ალბათ, ასეთ პირობებებს უმაღლეს ჯილდოს გადასცემდნენ სამშობლოსთვის უანგარო ღვაწლისთვის!!! მინდა, თითოეულმა ქართველმა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს მიღმა, იცოდეს, რაც ჩვენს ქვეყანას გაუკეთებ და დღესაც აკეთებთ. მთელი ცხოვრება საქართველოს

განთავსების გადარჩენისთვის იბრძვიო. რამდენი კვლევა, რამდენი წიგნი და რამდენი სამთავრობო ინიციატივა შექმენით თქვენი ყველაზე დიდი მიზნისთვის.

მადლობა ყველაფრისთვის! მადლობა თქვენი ქართველობისთვის, თქვენი ღირსეული ცხოვრებისთვის! მადლობა უფალს, რომ გიცნობ და 7 წელი თქვენთან მუშაობის ბედნიერება მაქვს. ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებით ერთად და გაავაკეთებ ჩვენს საყვარელ საქმეს, რასაც ბევრი არ გვიფასებს, მაგრამ უფალი ხომ ხედავს ყველაფერს, მთავარი ესაა! დიდხანს იცოცხლო!“

ბაზემი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას გუთმისუბრავლად უმერთებია ამ მილოცვას.

გადავრჩებით თუ აღვიბრვებით პირისაგან მიწისა?

უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე ეხება ყველაზე დიდ ეროვნულ სატივივარს, თვით ქვეყნის არსებობას. საქართველოს მოსახლეობის დემოპულაცია, საერთოდ მოსახლეობის რიცხვის შემცირება უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგების მოტანასთან ერთად, მნიშვნელოვნად გააუარესებს მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. თვით ხალხმრავალი რუსეთიც კი შემოერთებულია დემოგრაფიული კატასტროფის პირობებში ცხოვრებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უძლიერესი მიგრაციული ზენოლა რუსეთზე და, შეიძლება, ტერიტორიული ექსპანსიის ცდები ზოგიერთი მეზობლის მხრიდან.

საქართველოში მოსახლეობის შემცირება ხდება. 2002-2014 წლების მონაცემების აღწერისათვის შორისო პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 4371 ათასიდან 3713 ათასამდე, თითქმის ყველა მუშაობელი ქვეყნის მოსახლეობის არნახული ზრდის ფონზე. საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: 2000-2009 წლებში თურქეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 8 835 209 კაცს უდრიდა, აზერბაიჯანის – 830 011 კაცს, სომხეთის – 120 470 კაცს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატებამ ამავე პერიოდში მხოლოდ 53 584 კაცი შეადგინა და ისიც ძირითადად ქვეყნის არაქართველებით დასახლებული რეგიონების ხარჯზე. აღარაფერს ვამბობთ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების (რუსეთის სუბიექტების) მოსახლეობის არნახულ ზრდაზე.

ახლახან, 17 სექტემბერს, „იმედში“ გაუშვეს გადაცემა, თუ რამდენად ტოლერანტული გარემოა საქართველოში. დასაწყისში გაგვაცნეს სოციოლოგიური კვლევის შედეგები. თურმე 33 ქვეყნიდან რვა ქვეყანა მიიჩნევენ, რომ მათი კულტურა სხვა ქვეყნების კულტურაზე აღმატებულია. ამ კვლევის მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა საბერძნეთი, მეორეზე – საქართველო, მესამეზე – სომხეთი და ა.შ. როგორც ჩანს, გადაცემაში წამყვანებს ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ ყველა ხალხის კულტურა კარგია და ერთმანეთზე აღმატებული არ არიან, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ დემოგრაფები, როგორც იტყვიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აღნიშნავენ, რომ უფრო განათლებული და კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნებში შობადობა დაბალია და სხვა. გადაცემაში გამოიყვანეს ვიღაც ნიგერიელი (ნიგერიელები, როგორც ჩანს აგრესიულები არიან ჩვენ მიმართ), რომელმაც აღნიშნა, რომ მას ხშირად ცუდად ეპყრობიან, მაგრამ შემდეგ დაგვამშვიდა – ყველა ქართველი ცუდი არ არისო. გადაცემიდან გავიგეთ, რომ დაუარსებიათ ტოლერანტობის ინსტიტუტი, ალბათ, კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დირექტორი არის ახალგაზრდა ქალბატონი ევა ჭითანავა. ინსტიტუტის დაფინანსება, როგორც ჩანს, ხდება საზღვარგარეთიდან და ამით ყველაფერი ნათქვამი. ევა ჭითანავამ ისაუბრა ტოლერანტობის შესახებ და აღნიშნა, რომ ტოლერანტობა

სშირად გავგიგია სადღეგრძელოებში – ქართველები ყველაზე ტოლერანტები ვართო და მოჰყავთ გაცვეთილი მაგალითები, კერძოდ, ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობის შესახებ და ყველაფერი ეს ტოტალიტარული საბჭოთა პერიოდის შედეგიაო. თუ რატომ, ეს უკვე აღარ აუხსნია. მისი აზრით, ჩვენ გვაქვს შეუთავსებლობა უცხოის მიმართ, უცხოელებს პრობლემები ექმნებათ ბინადრობის უფლების მიღებისას, ისინი განიცდიან რასისტულ თავდასხმებს ტრანსპორტში, ქუჩაში, უნივერსიტეტში ლექტორების მხრიდან. ევა ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საკითხებზე მოქალაქეებს ჩავუტაროთ სწავლება და თავისი გამოცემა ამით დააგვირგვინა, თან გაგვაფრთხილა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ხალხიც ცხოვრობს საზღვარგარეთ და მათაც ასე მოეპყრობიან, თუ ჭკუით არ ვიქნებითო. გადაცემის წამყვანმა მამაკაცმა კვირი დაუტოვა – ყველას პატივი უნდა ვცუთ, ვინც მშვიდობით მოდის ჩვენთანო.

ამავე დროს, უაღრესად ინტენსიური გახდა იმიგრაციული პროცესები ძირითადად აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან. ქართველობა, რომელმაც უამრავი სისხლი დაღვარა თავისი ქვეყნის გადარჩენისა და იდენტობის შენარჩუნებისთვის, რომელმაც ააშენა ეს ქვეყანა, ახლა ხედავს, რომ მის მიწას მასობრივად იკავებს სრულიად სხვა კულტურისა და სხვა ცხოვრების წესის მატარებელი ხალხი. უპატრონოდ რჩება მთელი მისი ისტორია და საბოლოოდ იხურება მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი. დიახ, თუ ასე გაგრძელდა, მალე შემოსული უმცირესობა უმრავლესობად გადაიქცევა, მით უმეტეს მათი გამრავლების უნარის პირობებში. მოგონებადაც აღარ დარჩება ჩვენი ისტორია და ჩვენი დიდი მოღვაწეების მემკვიდრეობა, რომლითაც დღეს ასე ამავალი ქართველი ხალხი. ჯერ კიდევ მაინც შეგვიძლია ავსიუმეროთ ვაუაუველას ნათქვამი: „პირველად მესმის, რომ უმცირესობის ინტერესს ჩვენთვის ინტერესი უმრავლესობისა, მაგრამ როცა ჯერი ქართველებზე მიდგება ხოლმე, ყველაფერი შესაძლებელია“. დიახ, ამის შესანიშნავი მაგალითია ბანანების გამოყვანილი ფაფა ასლი, რომელმაც საკმაოდ დიდი კამპაღი დააგროვა, სავაჭრო პალატის თავმჯდომარედაც კი აირჩიეს და ახლა ჭკუას გვაიგებს. ევა ჭითანავას კი მინდა ვურჩიო, ქვეყნის იმიგრაციული და იმიგრაციული მოსალოდნელი სიკვდილის პირობებში ნებსით თუ უნებლიეთ, უფრო მეტად კი უცოდინრობით, თავის სამშობლოს მტრად ნუ მოეკიდება.

– დემოგრაფიული ვითარების ასეთ უმძიმეს პირობებში მოსახლეობას უდავოდ აინტერესებს – რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში? – სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ისტორიულად შობადობის დონე საქართველოში. უნდა აღ-

ვნიშნოთ, რომ მე-19 საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადებოდა, ვიდრე რუსეთსა და ევროპის ქვეყნებშიც კი. მაგალითად, 1875-1879 წლებში თბილისის გუბერნიამო მოსახლეობის ათას კაცზე საშუალოდ წელიწადში 37 ბავშვი დაიბადა, იტალიაში ამდენივე, პრუსიაში – 39, ხოლო რუსეთში – 50 ბავშვი. ამავე დროს, იმ პერიოდში ძალიან მაღალი იყო ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი. კერძოდ, 1886 წელს ერთ წლამდე ასაკში რუსეთში გარდაიცვალა დაბადებულ ბავშვთა 25 პროცენტი, ანუ ყოველი 1000 დაბადებული ბავშვიდან 250 ბავშვი. იმავე წელს რუსეთში დაიბადა 3973 ათასი ბავშვი და 0-4 წლის ასაკში 1603 ათასი ბავშვი გარდაიცვალა, ანუ ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან 403 ბავშვი სრულწლოვანების ასაკს დაბადებულ ბავშვთა ნახევარიც ვერ აღწევდა. ანალოგიური მაჩვენებელი უკრაინაში 373 ბავშვს უდრიდა, ასეთი ვითარება იყო სხვა წლებშიც.

საქართველოში გაცილებით დაბალი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. მაგალითად, 1875 წელს თბილისის გუბერნიამო ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან ერთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა 42 ბავშვი, ხოლო 0-4 წლის ასაკში – 205 ბავშვი, ანუ რუსეთის მაჩვენებლის (403 ბავშვი) თითქმის ნახევარი. მიუხედავად ბავშვთა მოკვდაობის მაღალი დონისა, მოსახლეობის ბუნებრივი მატებას მაინც ჰქონდა ადგილი შობადობის ძალიან მაღალი დონის გამო – დაბადებულთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა გარდაცვლილთა რაოდენობას. მაგალითად, რუსეთში, 1867-1914 წლებში, 48 წლის განმავლობაში, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედეგად, რუსეთის ევროპული ნაწილის მოსახლეობა 64 მილიონი კაცით გაიზარდა.

ამჟამად საქართველოში ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან ერთ წლამდე ასაკში მხოლოდ 10 ბავშვამდე იღუპება, ხოლო 0-4 წლის ასაკში – 11 ბავშვი, თუმცა ეს მაჩვენებელი ძალიან ევროპის ქვეყნებთან შედარებით (3-5 ბავშვი).

ახლა თუ ჩვენ მთავარ სათქმელს დავუბრუნდებით, თუ რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში, აღვნიშნავთ: ვაჟები და გოგონები დაახლოებით თანაბარი რაოდენობით იბადებიან (103-105 ვაჟზე 100 გოგონა). ამდენად, თუ ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ორ ბავშვს შობს, მოსახლეობა ერთი და იგივე რაოდენობით უნდა გამრავლდეს, ე.ი. მომდევნო თაობა წინა თაობის რაოდენობის ტოლი იქნება, მაგრამ ერთ ამ შემთხვევაში 2 საუკუნის შემდეგ მთლიანად ამოწყდება, რადგან, მართალია, ყოველმა ქალმა 2 ბავშვი დაბადა, მაგრამ დაბადებულ ბავშვთა ნაწილი ვერ აღწევს დედის იმ ასაკს, როდესაც მან ბავშვი გააჩინა, ნაწილი ოჯახს არ ქმნის, ოჯახების ნაწილი კიდევ უნაყოფოა. გამოანგარიშებულია, რომ, თუ ყოველი ქალი სიცოცხლის განმავლობაში ქორწინების მდგომარეობის მიუხედავად (დაქორწინებულია, არასოდეს და ქორწინებულია, ქვრივია თუ განქორწინებული) საშუალოდ 2,1 ბავშვს აჩენს, მოსახლეობა ერთი და იმავე რაოდენობით, თანაბრად მრავლდება. ცხადია, როდესაც ერთი ქალი 2,1 ბავშვზე ნაკლებს აჩენს, მოსახლეობა შემცირებულია მრავლდება, ხოლო როდესაც 2,1-ზე მეტს – გაფართოებულია. საქართველოში წლების განმავლობაში (1993-2007 წლებში) ერთი ქალი 1,5 ბავშვს ან უფრო ნაკლებსაც აჩენდა. ამრიგად, შობადობის ფაქტობრივი მნიშვნელობას (1,5 ბავშვს) თუ მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე (2,1 ბავშვი) გაუყოფთ, მივიღებთ 71,4 პროცენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის გამრავლება უზრუნველყოფილია 71,4 პროცენტით. როდესაც ყოველი ქალი საშუალოდ 3 ბავშვს აჩენს, მაშინ მოსახლეობის გამრავლება უზრუნველყოფილია 142,8 პროცენტით და ყოველი მომდევნო თაობა რიცხობრივად თითქმის ერთნახევარჯერ მეტი იქნება წინა თაობაზე. სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა სამბავშვიან ოჯახებს, ყოველი ქალის მიერ მესამე ბავშვის გაჩენას.

საუბარი ჩაიწერა მირიან ბუთხუჯაბა

გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში

ა. ეპიფანცევის სურვილი იყო, ერეკლე II წარმოედგინა, როგორც მოლაპატი, რომლის ნდობა არ შეიძლება. ალბათ გაუგებარია მკითხველისთვის, თუ რატომ არის ასე შემოფარებული ა. ეპიფანცევი

ფუძვლებს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის მხრიდან დაცვის სანაცვლოდ ერეკლე II უარს ამბობდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და ამ თვალსაზრისით ყოველი ნაბიჯი უნდა შეეთანხმებინა მოსკოვთან“.



გეორგიის ტრაქტატზე ხელმოწერისას

ერეკლე II-ის ანტიირანული პოლიტიკით. ნუთუ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება ასე მიუღებელია მისთვის? სრულებითაც არა! ქვემოთ ა. ეპიფანცევი შეეცდება დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ ერეკლე II-მ რუსეთის ისევე უღალატა, როგორც ადრე – ირანს. ა. ეპიფანცევი ერეკლე II-ის ჯავრი ბოლომდე რომ იყაროს ქართლ-კახეთის მეფის დამამცირებელი ეპითეტებით მოიხსენიებს, უწოდებს „персидский грузин (или грузинский перс)“. ა. ეპიფანცევი წერს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით ქართლ-კახეთის სამეფოში დაემხო ირანის ბატონობა და იქვე სვამს კითხვას: როგორ იქცევა ამის შემდეგ ერეკლე II? პასუხი ასეთია: „პატარა კახი იწყებს ირანს ჩამოცილებული განჯისა და ერევნის სახანოებზე ლაშქრობას, იწყებს დასუსტებული ყოფილი პატრონისათვის ტკბილი ლუკმების წაღღვას. ყველგან დაატარებს რუსულ ბატალიონებს, ცდილობს ბრძოლაში მათ ჩაბმას, ყველას აჩვენებს რუსულ ბატალიონებს და მფელი ძალით ხაზგასმით აცხადებს: თუ თქვენ მე წინააღმდეგობას გამიწევთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მე კი არ მეტრძვით, არამედ ებრძვით რუსეთს!“ ერეკლე II-ის ასეთ პოლიტიკას ავტორი რუსეთის საზიანოდ მიიჩნევს. ამ ამონაწერში ფაქტობრივი შეცდომებია: 1) 1784 წელს ქართლ-კახეთში გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი რუსული ბატალიონიდან მხოლოდ ერთი შემოვიდა, მეორე ბატალიონი იგვიანებდა. საქართველოში შემოყვანილი ჯარი რუსეთმა 1787 წელს უკანვე გაიწვია; 2) 1784-1787 წლებში, ანუ ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის ყოფნის პერიოდში ერეკლე II-ს განჯაზე და ერევანზე არ უღალატია. ეს ლაშქრობები გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1783 წლამდე) კარგა ხნის წინ განხორციელდა და, ცხადია, მასში რუსული ბატალიონები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ.

ამ შემთხვევაში ა. ეპიფანცევის რატომღაც ავიწყდება, რომ რუსეთი ხელშეკრულების დადების დღიდანვე არ იცავდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. 1785 წელს ხუნძახის მფლობელმა ომარ-ხანმა ქართლი და კახეთი აიკლო. რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი ომარ-ხანთან საბრძოლველად არ კმაროდა. ერეკლე II იძულებული გახდა, ხარკი მიეცა ომარ-ხანისთვის და ასე აეცილებინა თავიდან ხუნძახელთა თავდასხმები მომავალში.

რატომ ავიწყდება ა. ეპიფანცევი, რომ რუსეთი ვალდებული იყო, დაეცვა ქართლ-კახეთის სამეფო გარე ძა-



კატარინა II

ლის თავდასხმისაგან და თუ საქართველოში განლაგებული რუსული ჯარი საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ დამატებითი ჯარი შემოიყვანა?! რუსეთმა ეს არ გააკეთა არც 1785 და არც 1786 წელს. ერეკლე II იძულებული გახდა, ახალციხის ფაშასთან (და არა ოსმალეთის სულთანთან) ხელშეკრულება დაედო, რათა აღმოსავლეთიდან (ჭარბელაქნიდან) და ჩრდილოეთიდან (ჩრდილო კავკასიიდან) მთელთა შემოსევის შემთხვევაში სამხრეთის საზღვარი მაინც ყოფილიყო დაცული. 1787 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების მომიჯნავეებით, რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ის მცირე ჯარიც გაიყვანა საქართველოდან. ამით დაირღვა გეორგიევსკის ტრაქტატის ძირითადი პირობა. ერეკლე II-ს განუმარტეს: რუსის ჯარის საქართველოში ყოფნა ისლამურ სახელმწიფოებს აღიზიანებს და ამიერიდან უფრო ადვილად მოაგვარებთ მათთან ურთიერთობას. ა. ეპიფანცევი კი ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს ასე ხსნის: „რუსეთის ვასალის საქართველოს სეპარატიული ზავი რუსეთის მტერთან ეკატერინე მეორისათვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა... პეტერბურგმა ჯარი გაიყვანა საქართველოდან...“ ე. ი. ა. ეპიფანცევის თუ დავუჯერებთ, 1787 წელს ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის მიზეზი 1786 წელს ერეკლე II-სა და ახალციხის ფაშას შორის დადებული ხელშეკრულება ყოფილა, რაც სიცრუეა.

ა. ეპიფანცევი აგრძელებს ერეკლე II-ის მოლაპატიური პოლიტიკის მხილებას უკვე რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დასრულების შემდეგომ პერიოდში. სტატიის ვკითხულობთ: „...1791 წელს დამთავრდა ომი, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეიმჩნეოდა. მალე პატარა კახი მიხვდა, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის ლავირებამ მას ცუდი სამსახური გაუწია. საქართველოს მდგომარეობა საკმაოდ ტრაგიკულად გამოიყურებოდა: მფარველე-

ბის ჯერ მოხმობით და შემდეგ მათი მოტყუებით, მხოლოდ თავისი ინტერესების დაცვის მისწრაფებით ერეკლე II-მ საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა ორ მფარველთან – რუსეთთან და ირანთან“. ავტორს საქმის კურსში არ შეჰყავს მკითხველი, არ აცნობს იმ ვითარებას, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის შემდეგ. იასის ზავით (1791 წ.) ცხადი გახდა, რომ ომში დამარცხებული ოსმალეთი საქართველოში რუსეთის შეჭრას წინ ვეღარ აღუდგებოდა. რჩებოდა ირანი. ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანში შაჰის ტახტისათვის ზენდებსა და ყაჯარებს შორის დაწყებულმა ბრძოლამ ქვეყანა უკიდურესად დააუსუსტა. სამხედრო თვალსაზრისით ირანი რუსეთისათვის მეორეხარისხოვან მტრად გადავიდა ირანის განხილვებში. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას 1782-1783 წლებში (გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების დროისათვის) გადამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა მაინც ენიჭებოდა. ამ დროისათვის რუსეთი ირანსა და ოსმალეთს სერიოზულ ძალად განიხილავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატს არ დადებდა. ოსმალეთის დამარცხებისა და იასის ზავის შემდეგ, ირანში შინაშლილობისა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში ერეკლე II-ის პრორუსულმა ორიენტაციამ ძველი მნიშვნელობა დაკარგა – ერეკლე II რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში უმნიშვნელო ფიგურად იქცა. აი, ამიტომ მიატოვა რუსეთმა ერეკლე II, აი, ამიტომ არ შეეშინა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ის მრავალი თხოვნა, დაეცვა ქართლ-კახეთი ირანის მოსალოდნელი აგრესიისაგან. ა. ეპიფანცევი კი მფარველობაში მიღებული ქვეყნის გამწვანებელ, ბედის ანაბარად მიმტოვებელ და ე. ი. მოლაპატიე ეკა-



გიორგი XII

ტერინე II-ს ნამუსს სწმენდს და ღალატში რუსეთისაგან მოტყუებულ ერეკლე II-ს ადანაშაულებს: „რუსეთმა ყურად არ იღო გერაგი მეფის სვენა-მუდარა – დახმარება არ მოდიოდა“. მკითხველო, ცხადია, მიხვდით, რომ ეს „ვერაგი მეფე“ ერეკლე II იყო. კიდევ უფრო შორს მიდის ა. ეპიფანცევის ცილისწამება, როცა ამტკიცებს, 1783 წელს ერეკლე II რუსეთის „მფარველობაში“ შევიდა, ხოლო მისი შვილი მეფე გიორგი XII მფარველობით არ კმაყოფილდებოდა და ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან შეერთებას ითხოვდა. სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის მომავალი ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად პირობად გიორგი XII ქართლ-კახეთში მეფობის შენარჩუნებას აყენებდა. სამეფო ხელისუფლების შენარჩუნება, ცხადია, სამეფოს შენარჩუნებასაც ნიშნავდა.

ა. ეპიფანცევისთვის ძალზე უხერხული უნდა ყოფილიყო 1795 წლის მოვლენების

გახსენება. მას რალაცნაირად უნდა გაემართლებინა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის მიტოვება ალა-მაჰმად ხანის ლაშქრობის დროს. სტატიის ავტორის აზრით, 1795 წელი ეს ის დროა, როცა ერეკლე II რუსეთისათვის უკვე ტიპურ მოლაპატიედ იქცა. სტატიაში ვკითხულობთ: „რუსეთი არ იწვინოდა სურვილით, დაეცვა მოლაპატიე“. ცოტა ზემოთ ა. ეპიფანცევი წერს, რომ ალა-მაჰმად ხანი ერეკლესაგან კატეგორიულად ითხოვდა რუსეთთან კავშირის განწყვეტას, მაგრამ ერეკლე ამაზე არ წავიდა. თუ ალა-მაჰმად ხანის კატეგორიული მოთხოვნისა და მუქარის მიუხედავად ერეკლემ რუსეთთან კავშირი არ განწყვიტა (გეორგიევსკის ტრაქტატი არ გააუქმა), მაშინ როგორღა მტკიცდება ერეკლეს მოლაპატიეობა?!

რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობას, ანუ 1801-1810 წლების მოვლენებს, ა. ეპიფანცევი გვერდს უვლის. ისეთი გამოცდილი პოლემისტიც კი, როგორც სტატიის ავტორია, უძლური იქნებოდა, გაემართლებინა დაპყრობის ფაქტი. ა. ეპიფანცევი სულ ერთი წინადადებით გადმოსცემს მომხდარს: „საქართველოს თავზე გამოვიდა რუსეთის ვარსკვლავი.“ (Над Грузии вошла Российская Звезда“). 1801-1917 წლების ისტორიას იგი სწორედ რუსული ვარსკვლავის ამობრწყინების ფონზე იხილავს.

რუსეთის იმპერიაში საქართველოს იძულებითი ყოფნის პერიოდის (1801-1917 წწ.) შეფასებისას ა. ეპიფანცევი ცდილობს, უხერხულ თემებს გვერდი აუაროს, შეარბილოს რუსული კოლონიური პოლიტიკა. თუმცა, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ქართველების მიმართ დამთმობი ყოფილა „მეფის ხელისუფლებასთან ქართველების მხრიდან აშკარა დაპირისპირების დროსაც კი“. მაგალითები ამ განცხადების დასამტკიცებლად ა. ეპიფანცევი არ მოჰყავს. თუმცა ასეთ მაგალითებს იგი ნამდვილად ვერ იპოვია 1804 წლის ქართლის მთიანეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის აჯანყებებისა და 1905-1907 წლების რევოლუციის ისტორიაში.

ა. ეპიფანცევი მიიჩნევს, რომ რუსეთის ბატონობით ქართველები კმაყოფილნი იყვნენ XX საუკუნის დამდეგამდე. XX საუკუნის დამდეგს რუსეთი დასუსტდა და ქართველებმაც მაშინვე აამოქმედეს ძველი სტრატეგია – „ახალ პატრონს“ დაუნყეს ძებნა: „პატრონი დასუსტდა. მას უკვე აღარ შეეძლო საქართველოსათვის იმ ფუნქციის შესრულება, რომელსაც გვიან ამერიკელებმა უწოდეს „ბენდინერი თავშესაფარი“. სტატიის ავტორი არც მალავს, რომ 1918 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით ქართველებმა რუსეთს უღალატეს და უმადურებმა ეს „ბენდინერი თავშესაფარიც“ დაკარგეს.


ქართველთა მიმართ ეს დაუფარავი ირონია გამომწვეულია იმით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, როგორც ქართველი ერის ანტირუსული სულისკვეთების გამოვლინება, მიუღებელია ა. ეპიფანცევისთვის.



ვახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპარტიო-სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. (დასასრული შეფუძნა ნომერში)

რას გვეჩიან სოფელი ქაჯები?

დაჩემა მბაცხელობაზე უარსია



...იმ დღეს სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობის კომიტეტიდან დამირეკეს, ოპერატორთან ერთად სასწრაფოდ ჩადი მარნეულში, რაიონის ხელმძღვანელობიდან პასუხისმგებელი მუშაკი გაიყოფე, მონინახულე შუჯამი და სიუჟეტი მოამზადე, ეს პირადად თავმჯდომარის ნუგზარ ფოფხაძის დავალებათაო.

ბატონი ნუგზარი ცნობილი იყო თავისი ობიექტური სიმკაცრით, პრინციპულობით, ასეც რომ არ ყოფილიყო, როგორც ქვემო ქართლის რეგიონის საკუთარ კორესპოდენტს, დავალებების შეუსრულებლობა არ ეგებოდა და მეც, ჯერ რაიონის მაშინდელ თავკაცს როდენ მემარნიშვილს ვესტუმრე, ვისაუბრეთ საქმის ვითარებაზე, ისიც გაოცებული იყო იმ ფაქტით, რომ ვილაც ნაძირალებმა შუჯამის ტაძარში, სადაც იმ ხანად ქართველი მონაზონი ქალბატონები იყვნენ შეკედლებული, ერთი მეტრის სიგრძისა და 50 სანტიმეტრის სიმაღლის სომხური წარწერისანი ლოდი შემოუგდიათო.

ადგილზე მისულთ, იქვე სომხებით დასახლებული სოფელ კაპანახის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (გვარს ვერ ვიხსენებ) დამხვდა, ერთად შევედით ტაძარში, ისიც გაკვირვებული იყო, ვინ და როგორ ქნა ეს უკეთური საქმეო, რაც შეეხება მონაზონ ქალებს, მათ-

გან ერთი დარჩენილა, ისიც შეუძლოდა და მკურნალობსო, რა თქმა უნდა, კადრები გადავიღეთ, ჩემმა მასპინძელმა თავის მოკლე სატელევიზიო ინტერვიუში ერთხელ კიდევ დაგმოვრები წავგართვესო.

ეკლესიის შენობიდან, პირობითად დაკანონებული სომხეთ საქართველოს საზღვარი, რომელიც მენშევიკების დროს, ქართველთა დაუდევრობით დაუკანონებიათ, უპრობლემოდ გადავლახეთ. იქვე ხევში მომავალ ნაკადულთან დავისვენეთ, ხეობა მართლაც ლამაზია, მერე მასპინძლებმა კარგად გვიმასპინძლეს, სიუჟეტიც საინფორმაციო პროგრამა „მოამბემ“ საფუძვლიანად გაახმოვანა, ეგ იყო და ეგ, სომხებთან პრობლემა მოგვარდა, შუჯამი ქართულია და ქართულად დარჩა, მაგრამ...

სხვაგვარად არ შეიძლება მომხდარიყო. იმხანად, ჩვენ, 5 მილიონნახევარი ვიყავით, საბჭოთა კავშირში ყოველმხრივ გამორჩეული რესპუბლიკა.

გავიდა წლები და ვილაც ვილაცები კვლავ აცქმუტდნენ, ორ ერს შორის შუღლის ჩამომგდებნი ისევ აიფოფრნენ, ამჯერად გაზეთ „საქართველოს

რესპუბლიკაში“ უკვე მერამდენედ მიწვეს ამ თემაზე საუბარი, ერთ-ერთი 2011 წლის 9 ნოემბრის ნომერში, საკმაოდ ვრცელი და საფუძვლიანი მეცნიერულად დასაბუთებული, ენციკლოპედიაში არსებული დოკუმენტური მტკიცებულებით განმტკიცებული წერილიც დაიბეჭდა.

და ახლა, ამ დღეებში ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჟურნალისტ მარიამ მორგოშის სტატიით ირკვევა, რომ ეს საკითხი ისევ სადავო ხდება და რომ სომხები მძებნი, არა და არ ეშვებიან ჩვენს ძირძველ ტერიტორიას და მამა-პაპათა ნამაგარ ტაძარს.

არადა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ თავის დროზე გასაგებად იუნყებოდა, რომ „შუჯამის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მდებარეობს მარნეულის რაიონში, ახლანდელ სოფელ ალგეთის მახლობლად. ნაგებობათაგან აღსანიშნავია XII საუკუნის პირველი ნახევრის ტაძარი.“

დიახ, იმხანად ექვციც არავის გასჩენია, რომ ეს ნაგებობა და ტერიტორია, იყო ქართული. ისიც ფაქტია, რომ მის მიმდებარედ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული დასახლება იყო...

გამოიღვიძეთ, გამოფხიზლდით ქართველებო!

დრო არ ითმენს!

გივი ჯახუა

ბეზრამ არ იცის, რატომ იმალებოდა აკაკი სენაკში... ცხადია, სახალხო მგოსანი აკაკი წერეთელი მართოდ თვისი დიდებული შემოქმედებითა და ქართული სიტყვის უბადლო ოსტატობით კი არ იყო გამორჩეული, არამედ სამართლიანობის დაცვითა და ჯანსაღი იუმორით. ის გახლდათ ერის, ხალხისა და მშობლიური მიწის თავგამოდებული დამცველი.

აკაკი თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში ხშირად მიმართავდა ალეგორიას. საქართველოს ნაცვლად ხმარობდა სიტყვებს „ამირანი“, „სატროფი“ საქართველოს სახელით უმღეროდა „სულიკოს“, „ნესტან-დარეჯანს“ და ასე შემდეგ. დასახლებულ სიტყვებში არ იგულისხმება, არც ზღაპრული ამირანი, არც პოეტის ვინმე მიჯნური ქალი, არც რუსთაველის ნესტანი, არამედ იგულისხმებოდა მშობლიური მიწა-წყალი, ერი, ქვეყანა. ამგვარი გარდასახვა გახლავთ ცნობილი მეთოდი მწერლობაში და უხსოვარი დროიდან მიმართავდნენ მას ქართველი სწავლულები.

აკაკის ეკუთვნის გამოთქმა: „მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, კაცს კი წარსულიდან გამოყავს ანგყო და მისგან სურს წარმოშვას მომავალი“.

აკაკი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის „ალიონზე „დანერა ვოდევილი“, „პირუტყვების არჩევანი“, სადაც პოეტს გამოყვანილი ჰყავს, ვეფხვი, მგელი, ვირი და აქლემი და ქარაგმულად გვიხატავს ქუთაისის გაუბრუნიაში მე-19 საუკუნის სამოციან წლებში თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნებს, რომელიც კომიკურად და სამარცხვინოდ ჩატარდა.

აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის ახალ კურსდამთავრებული იყო, რომ ქუთაისში დაესწრო თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნებს, რომელმაც ახალგაზრდა მგოსანი ალაშვოთა და დანერა სატირული ნაწარმოები „პირუტყვების არჩევანი“, რომელიც ხელნაწერის სახით გავრცელდა. საჯაროდ იგი „დროების“ ფურცლებზე მოგვიანებით გამოქვეყნდა.

აკაკი იგონებს: „ჯერ ახლა რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში? ერთ მაშინდელ არჩევნებს მეც დავესწარი. დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი. ეს სცენა პირია ნამდვილის, აქ მომატებული არა არის რა“. ეს გულტკივილიანი მოგონება ადასტუ-

რატომ იმალებოდა აკაკი წერეთელი სამეგრელოში?

რებს, რომ ახალგაზრდა მგოსანი განუცვიფრებია დიდგვაროვანთა ფორმალურ თავყრილობას.

ეტყობა, ვოდევილს მაშინ საზოგადოების დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. ქართველი თავადაზნაურობა მამახილებელმა პამფლეტმა გააღიზიანა. განსაკუთრებით შფოთავდა თურმე თავადი ნესტორ წერეთელი. რომელიც თავმჯდომარედ იყო არჩეული. აკაკი წერს: „ამ ხუმრობამ ისეთი უსიამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე, რომ მე იძულებული გახვდა, ქალაქს გავქცეულიყავი, მაგრამ იქ უარესი დამხვდა. თურმე იმ ხანებში იქაც არჩევნები ყოფილიყო და თავის თავზე მიეღოთ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სხვაგან წასასვლელი შეიძლება, რომ აღარ მქონოდა – მაშინ ხომ რკინიგზა არ ყოფილა ჩვენში.“

მოგონებიდან აშკარად ჩანს, რომ თავადები განაწყენებამ აგრესიული ხასიათი მიიღო. ახალგაზრდა პოეტი იძულებული გახდა, დასამალად სამეგრელოში გაქცეულიყო ბეჭდაუდებელი ნესტორ ესებუასა და შემდგომში ღვანლმოსილი აკადემიკოსის არნოლდ ჩიქობავას სამკვიდროში, სოფელ ძველ სენაკში, თავად ბესარიონ ქავთარაძის ოჯახში.

აი, რას წერს პოეტი!

„ძველ სენაკში ჩავედი ბესარიონ ქავთარაძესთან და იქ ვიმალოდი დიდი ხანი. სანამ მითქმა-მოთქმა არ მიწყნარდა. საკვირველია, დაბალი ხალხი ჩუმად ყველა ჩემი თანამგრძნობი იყო, მაგრამ გამოსარჩლების უშიშრად ვუყფიდი, აღარავის და აღარაფერს ვერიდებოდი.“

ცხადია, ბესარიონ ქავთარაძესა და აკაკი წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, იმდენად ახლო, რომ მასპინძლის სჯეროდა და მას ენდობოდა. ჩვენ, კონკრეტულად არ ვიცით, მტკიცე მეგობრობამ ფესვები როგორ გაიდგა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ



ქავთარაძეები თავადები იყვნენ, განათლებულები, ერუდირებულები და გამორჩეული მოღვაწეები მაშინ, დასაშვებია, რომ სადაც გადაიკვეთა ორი ნიჭიერი ახალგაზრდის გზები.

ბესარიონის მამა, სოფლის ეკლესიის დეკანოზი გახლდათ. თვითონ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, როცა მამის რეკომენდაციით, ახალი სენაკის ოლქის უფროსმა კორნელი ბოროზდინმა თარჯიმნად მიიწვია. ბესარიონი ერთგულად და მონადინებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ბოროზდინი იგონებს: „თარჯიმნის შოვა ადვილი არ იყო, რადგან ხალხთან თითქმის უწყვეტად გვისდებოდა შეხვედრა და ლაპარაკი. იძულებული ვიყავი, რამდენიმე თარჯიმანი გამოემეცვალა,

სანამ ხელში არ ჩამივარდა მისხვედრილი და კარგი ყმაწვილი, 18 წლის ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე, მართალია, რუსული წერა და ლაპარაკი მაგდენი არ იცოდა, სამაგიეროდ, გულდადებით და დაკვირვებულად ასრულებდა თავის მოვალეობას და სანამ მთელი ოთხი წლის განმავლობაში აქ ვიყავი, გვერდიდან არ მომშორებია.“

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბესარიონ ქავთარაძეს სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად უხდებოდა ჩასვლა გუბერნიის ცენტრში – ქუთაისში. იქ გაიცნო ნიჭიერი თანატოლები და მათ შორის აკაკი წერეთელი. იმერეთთან ხშირი ურთიერთობის გამო უნდა მომხდარიყო, რომ ბესარიონმა ცოლად შეირთო ქუთაისელი ელისაბედ გოგიჯანაშვილი.

ეს გახლდათ აკაკი წერეთლის პირველი ჩამოსვლა სენაკში. შემდგომ პოეტი არაერთგზის ეწვია კოლხეთის გულად ნოდებულ, ეგრისის ნაფუძარზე დაფუძნებულ მხარეს. 1874 წელს დაესწრო ძველებურ მეგრულ რიტუალს – „მკვდრის სულის მოძებნა“, რაც ადათის მიხედვით მიცვალებულის წლისთავის აღსანიშნავად იყო დანსახებული. საკუთარი განცდის შესახებ „დროებაში“ გამოაქვეყნა ფელეტონი, სადაც დიდი იუმორით აღწერა ნანახი და განცდილი.

თავისი ჩამობრძანებით პატივი დაგვლო პოეტმა 1885 წელს, როცა წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეგიდით ძველ სენაკში სკოლა აკურთხეს. აქ წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა. მასთან ერთად ბრძანდებოდნენ საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი ყიფიანი, ნიკო დადიანი და სხვები.

1892 წელს აკაკი კვლავ სენაკშია და სტუმრობს რკინიგზის სადგურის უფროსს, რომელიც ამავდროულად ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეს. ეს გახლდათ ცნობილი დრამატურგი ასიკო ცაგარელი და მისი მეუღლე, ცნობილი მსახიობი ნატო გაბუნია.

სენაკში პირველი ჩამოსვლა აკაკი წერეთელს კეთილად დაეხვდა. იგი ამაღლებული განწყობითა და ხალისიანი „ჩანგი“ მრავალჯერ ჩამობრძანდა, თავისი დიდი იმედებითა და მსურველ გულთ გაათბო სამეგრელოს საზოგადოება.

ბორის დავითიანი,
აკაკი წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

დაბადების დღეს ვულოცავთ გამორჩეულ ქალბატონს, მკურნალს, მეცნიერს, პედაგოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ასამდე მეცნიერული ნაშრომის, გამოგონებებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორს, ღირსების ორდენოსანს, ღრმადბატიცემულ სპეციალანს (ნათელა) ქუქიშვილს.

ქ-ნი ნათელა დაიბადა რუსეთის ფედერაციაში, ქ. ორჯონიკიძეში (დღევანდელ ვლადიკავკაზში). აქვე წარჩინებით დაამთავრა ქართული საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა იმ დროისათვის მთელი კავშირის მასშტაბით ყველა კომპონენტით აღიარებული, გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტებულ ქ. ორჯონიკიძის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე მოაშურა მშობლიურ საქართველოს, მუშაობა დაიწყო დაბა ყაზბეგის (დღევანდელი სტეფანწმინდის) კლინიკურ საავადმყოფოში. იგი უშურველად ემსახურებოდა მშობლიურ კუთხეს, სადაც სხვადასხვა დაავადების მკურნალობა უხდებოდა. ამაში დიდ დახმარებას უწევდა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ინსტიტუტის კედლებში მიიღო. აქ უპრიანი იქნება მოკლედ შევეხოთ მის „პატარა სამშობლოს“, ხევის, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის კალთებზე და მოიცავს მდინარეების – თრუსოს, თერგისა და სნოსწყლის ხეობებს და ცნობილია, როგორც ადრინდელი შუასაუკუნეების წანარეთი. ქ-ნი ნათელა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ეკიდება თავის მშობლიურ სოფელს, მისი მშობლებისა და წინაპრების დედაფუძეს – სოფელ გარბანს, სადაც ძირითადად სამი გვარის წარმომადგენლები – ქუქიშვილები, გელაძეები, გუჯარაიძეები ცხოვრობენ (არიან ჩოქურები, ხეთაგურები და სხვ.). მთლიანად ხევში და, რალა თქმა უნდა, სოფ. გარბანშიც, ქ-ნი ნათელას მამა, ბ-ნი ანდრო აღიარებული ლიდერი ყოფილა. მას დიდი კავშირურთიერთობები ჰქონია ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, ჰყოლია ძმადნაცვები და მათთან ერთად იმ პერიოდში სასტიკად აკრძალული ბიზნესითაც ყოფილა დაკავებული. იგი უშურველად ეხმარებოდა გაჭირვებულებს, განსაკუთრებით ხელს უწყობდა ახალგაზრდებს განათლების მიღებაში. ბატონ ანდროს ჰყავდა ოთხი შვილი: ნელი, ნათელა და გოგი – ექიმები და პროფესიონალი მხატვარი თამარი, რომელიც ცნობილი მხატვრის უჩა ჯაფარიძის მოწაფე იყო.

ქ-ნი ნათელას მკვიდრი მამიდაშვილი იყო მთელ მსოფლიოში აღიარებული დასტაქარი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, აკადემიკოსი ოთარ ლუდუშაური, რომელსაც ასევე დამთავრებული ჰქონდა ქ. ორჯონიკიძის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სტუდენტობისას ბატონი ოთარი ანდრო ქუქიშვილის ოჯახში ცხოვრობდა. ალბათ, ამანაც იქონია გარკვეული გავლენა, რომ ნათელამ პროფესიად ექიმობა აირჩია.

ქალბატონი ნათელას ოჯახში პურმარილი, სტუმრები ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მათ ოჯახში სტუმარი გამოუღეველი და სუფრა აულაგებელი იყო. ყოველივე ამის მოთავე და შემსრულებელი ოჯახის დედა და დიასახლისი, უკეთილშობილესი ქალბატონი დაშა გახლდათ.

სწავლის გაგრძელების სურვილმა ქ-ნი ნათელას დაატოვებინა მშობლიური ხევი და თბილისში ჩამობრძანდა, მოეწყო ასპირანტურაში და სწავ-

ლასთან ერთად მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის №1, ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში, გულ-მკერდის ქირურგიის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღიარებული დასტაქარი, აკადემიკოსი, ბ-ნი ნიკოლოზ ანთელავა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა ინტენსიურად ემზადებოდა საქართველოში კარდიოქირურგიის უახლესი მეთოდების დასანერგად. მან გვერდში დაიყენა ქ-ნი ნათელა და მანაც გაუმართლა. ქ-ნი ნათელა ხშირად სტუმრობდა მოსკოვს, კოლეგებთან ერთად არჩევდა თანამედროვე აპარატურას, საჭირო ინვენტარს და ა.შ. მათმა შრომამ და მოწადინებამ მალე ნაყოფი გამოიღო და მათ განყოფილებაში, პირველად საქართველოში, წარმატებით ჩატარდა სხვადასხვა პათოგენეზისა და



კანდიდატო დისერტაცია და პროფესიულ საქმიანობასთან ერთად საშუალება მიეცა, თავისი ცოდნა გადაეცა სტუდენტებისათვის, წარმატებით კითხულობდა ლექციებს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო ფაკულტეტზე, იგი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საკმაო სიმკაცრითა და მომთხონელობით.

საგანგებოდ უნდა ითქვას ქ-ნი ნათელას მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო სფეროში. იგი ფუნდამენტურად იკვლევდა დეფორმირებულ კოქსართროზს, დიდ ყურადღებას უთმობდა ამ დაავადების მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვას პრაქტიკაში. მალე ქ-ნი ნათელა პროფესორად აირჩიეს. ის აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, გამოგონებები, სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოები.

ნათელა ქუქიშვილს, ისე როგორც მის კოლეგებს, მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ, რომ ქართული ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სკოლის აღმასვლა და საყოველთაო აღიარება განუხრელადაა დაკავშირებული აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურთან.

ქ-მა ნათელამ წარმატებით დანერგა და გამოიყენა ლაზეროთერაპია ტრავმატოლოგიაში და ორთოპედიკაში.

ქ-ნი ნათელა კათედრაზე მუშაობისას ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სფეროს, ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას, იყო კათედრის სასწავლო ნაწილის უფროსი, ხოლო 2001-2003 წლებში მუშაობდა ხსენებული კათედრის გამგედ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნათელა ქუქიშვილს გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი ანესთეზიოლოგია-რეანიმაციაში, ლაზეროთერაპიაში, ართროზების დიაგნოსტიკაში, პრევენციაში და მკურნალობაში, ოსტეოქონდროზის კომპლექსურ კონსერვატიულ მკურნალობაში; ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოს თანაავტორი და მისი გამოცემის სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, ცნობილ ტრავმატოლოგთან, აკადემიკოს, ბ-ნი ჯემალ გოგუაძესთან ერთად, არის ასევე თავისი მასწავლებლის – გამოჩენილი ტრავმატოლოგ-ორთოპედის, აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურისადმი მიძღვნილი ორი ნიგნის თანაავტორი.

ქალბატონმა ნათელამ წარმატებით განვლო ცხოვრების გზა, თავდადებით იმსახურა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, მომავალი ექიმების აღზრდის საქმეში. ჰყავს მეუღლე – სწავლული ეკონომისტი, წარმატებული ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ღვანლმოსილ ქალბატონს!

მკურნალი, მეცნიერი, პედაგოგი

სვეტლანა (ნათელა) ქუქიშვილი



ნათელა ქუქიშვილი ოთარ ლუდუშაურთან ერთად

კულ საქმიანობაში მცირე პაუზა აეღო და გადართულიყო თეორიული მომზადების სრულყოფაზე, კერძოდ, ემუშავა საკანდიდატო დისერტაციაზე.

ზუსტად ამ პერიოდს (70-იან წლები) დაემთხვა აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის დაბრუნება მშობლიურ საქართველოში. მან ახალი კადრებით შეავსო ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრა და ქ-ნი ნათელაც კონკურსის გავლის შედეგად გახდა ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო-სავიწოდებელი ქირურგიის კათედრის ასისტენტი. იგი მთელი ენერგითა და შემართებით მუშაობდა მუშაობას. მალევე დაიცვა სა-

სახის ოპერაციები ბ-ნი ნიკოლოზ ანთელავას ხელმძღვანელობით. ქ-ნი ნათელა ჩამოყალიბდა წარმატებულ სპეციალისტად და ყოველთვის ნამყვან პროზიციაზე მუშაობდა.

ძალიან დაძაბულმა მუშაობამ, არგამართლებულმა ოპერაციებმა (წარუმატებლობამ), დიდმა გონებრივმა და ფიზიკურმა დატვირთვამ მიაღებინა მას გადაწყვეტილება, პრაქტი-

საპარტეზო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოფ. დაცვის სამინისტრო; საპარტეზო განათლების, მენეჯერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; თბილისის მერი; თბილისის სახელმწიფო საავიციონო უნივერსიტეტი(თსუ); ოთარ ლუდუშაურის სახელობის პროფესული საავიციონო ცენტრი; საპარტეზო ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა საზოგადოება;

პროფესორები: ლუიზა მარსაბიშვილი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ციხარ (ვაჟა) მარსაბიშვილი, ნიკოლოზ (ნიკა) თივდორაშვილი, შადიან სახვაძე, მაკა ბულიაშვილი, ნანა ლოჟანიძე, მაია ლოჟანიძე, ლუიზა შანტურიანი, მაია ხელაშვილი, გოგი ბოჭორიშვილი, სორთან ჯაფარიძე, გიული გაღვიანიშვილი, ავთანდილ კოჭლაგაზაშვილი, მარაბ დვალის, გიორგი კაციტაძე, ანა შაპია, მზავინარ ბერიანი, ნათელა გუნია, დალი გოგიაშვილი, მარინა გოგიაშვილი, თინათინ ასათიანი, შოთა ჯაფარიძე, ალესა ზირაზილაშვილი, რაბაზ ალუშაშვილი, მარაბ ჩხატარაშვილი, ზურაბ ტყეშელაშვილი, ჯონი გუნია, გოგი მაღალაშვილი, მარინა ლუდუშაური, მანანა ლუდუშაური, მანონ ლუდუშაური, გია ლუდუშაური, მარაბ ვარაუკაშვილი, ამირან გამყრალიძე, დავით ტატიშვილი, ანატო კურტანიძე, კრუბა ცხორვაშვილი.

სოფლის განვითარება არის მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი, მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობით მოქმედი პროცესი და ეს ყოველივე მიუთითებს მის სირთულეზე, შესაბამისად, არ არსებობს მკაფიოდ შემოსაზღვრული პარადიგმა ამ თემაში.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ევროკავშირში სასოფლო ტერიტორიების განვითარების კონცეფციები განიცდიან მუდმივ განახლებას და სახეცვლას. იგი იცვლება დროში, იცვლება თანამეგობრობის პოლიტიკის რეფორმების მოთხოვნებზე დამოკიდებულებით, დგამს ნაბიჯებს წინ და მოულოდნელად იხევს უკან. თანამეგობრობის დონეზე და ცალკეულ ქვეყნებში ერთდროულად არსებობს რამდენიმე კონცეფცია, რომელთაგან ძირითადად დამკვიდრდა სამი მიმართულება:

I კონცეფცია გადამწვეტ მნიშვნელობას ანიჭებს აგრარული სექტორის განვითარებას, სადაც უმთავრესია სოფლის მეურნეობის და აგროსასურსათო კომპლექსის მოდერნიზება. მსხვილი ფერმერული, კლასტერული თუ კოოპერირებული მართვის;


II კონცეფციას იყენებენ ძირითადად ჩამორჩენილი, დეპრესიული ზონებისთვის. აქ აქცენტს კეთდება კონვერგენციაზე, რადგან როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ეკონომიკის სხვა დარგებში საერთო სტანდარტს ჩამორჩებიან და საჭიროებენ მიზნობრივ მხარდაჭერას;

III კონცეფცია, რომელიც იყენებს ტერიტორიის შესაძლებლობებს მისი ყველაზე ფართო გაგებით, კომპლექსურია და ითვალისწინებს როგორც რესურსულ, ასევე ადამიანურ ფაქტორს. მიდგომა მოიცავს ადგილობრივ დონეზე ყველა კომპონენტის და დარგის ინტეგრაციას. შეიძლება ითქვას, რომ კონცეფციის მოდერნიზაციის მრავალი წინააღმდეგობრივი, თუ მენტალური პრობლემა ჩნდება, თუმცა თანამეგობრობის სივრცეში მისი დანერგვა ითვლება ყველაზე პროგრესულ და უბირობო გამომწვევად.

ყველათვის აუცილებელია სოფლად შეიქმნას ურბანულთან დაახლოებით მიახლოებული ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, როგორც კომუნალური, ინფრამრეწველობის, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული, ასევე მალაქტურული საინფორმაციო და ინტელექტუალური ეკონომიკით.

რა ძირითადი ელემენტები გამოარჩევს დარგობრივ მოდელს, სადაც სოფლის განვითარება ემყარება სოფლის მეურნეობის განვითარებას, კონკურენტუნარიან პროდუქციით, სპეციალიზაციის მაღალი დონით, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საწარმოო სტრუქტურების გამართულობას, პროდუქციის ხარისხს, ერთგვაროვნებას, რაოდენობას. ეს მიდგომა დაფუძნებული მოდერნიზებულ პარადიგმაზე გაძლიერდა 80-იანი წლების დასაწყისში, თუმცა შემდგომში მუდმივად განიცდიდა პრობლემებს თავისი მოუქნელი ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ძალში მგრძობიარეა აგრარული პოლიტიკის ახალი ამოცანების და ევროკავშირის გაფართოების პროცესის მიმართ. თანამედროვე დარგობრივი მოდელი გაძლიერდა რამდენიმე კომპონენტით და მათში აუცილებლად გამოხატულია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე აგრობიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა.

მეორე მოდელს სუსტად განვითარებულ დეპრესიულ რაიონებში ნერგავენ, სადაც განვითარების მოდელს გადამაწინილებლსაც ეძახიან, ევროკავშირის მათთვის სპეციალური პროგრამები აქვს, სადაც მაქსიმალურად გათ-



სოფლის განვითარების ევროპული მოდელები და საქართველო

ვალისწინებულია და მხარდაჭერილი ეკონომიკური შესაძლებლობები, ხოლო ის, რაც შეუძლებელია განვითარდეს, დაბალანსებულია სოციალური პროგრამებით და კონვერგენციის პრინციპით.

დაბოლოს, ყველაზე რთული და პროგრესული ტერიტორიული მოდელი, რომელიც არაა ფოკუსირებული მხოლოდ დარგობრივ ინტერესებზე და არც დეპრესიული რეგიონების საჭიროებებზე, მისი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის განვითარების დივერსიფიცირება, ინკლუზიურიობა, კომპლექსურობა და რაციონალიზაცია. სწორედ დაფინანსების და მართვის მრავალმხრივმა სისტემამ დააყენა დღის წესრიგში ასეთი მოდელის აუცილებლობა. ამ კონცეფციაში ორი გამოკვეთილი მიმართულება არსებობს. იქ, სადაც დომინანტი აგრარული სექტორია და მეორე, სადაც ეკონომიკის დივერსიფიცირებულობა მრავალმხრივი შესაძლებლობებით გამოარჩევა.

უღრესად მნიშვნელოვანია, რომ ისევე, როგორც ეს ევროპაშია, საქართველოშიც ჩამოყალიბდეს სისტემური მიდგომა ზოგადად ტერიტორიების და განსაკუთრებით, სასოფლო ტერიტორიების მიმართ, რაც შესაბამისი პოლიტიკის კონცეპტუალურ, პროგრამულ თუ სამართლებრივ უზრუნველყოფას უნდა დაეყრდნოს.

სამწესიაროდ, დღევანდელი სინამდვილე ძალზე შორს დგას სოფლის მიმართ რაიმე სისტემური დამოკიდებულებისგან და მიძიმე გულისტკივილი უნდა აღვნიშნოთ: ქვეყანაში სახელმწიფო ან თუნდაც მუნიციპალური სასოფლო პოლიტიკა, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს! ეს „გეზისტენციურად კრიზისული“ ვითარება რამდენიმე სავალალო გარემოებით თვალნათლივ დასტურდება, კერძოდ:

1. მას შემდეგ, რაც პირველი დონის ადგილობრივი თვითმმართველობა 2006 წლიდან გაუქმდა, სოფელი, ე.ი. მისი ადგილობრივი საზოგადოება – სასოფლო თემი, აღარავითარი ფორმით სამართალ-სუბიექტს აღარ წარმოადგენს, აქედან გამომდინარე – ყოველად შეუძლებელია მის უფლებრივ მდგომარეობაზე საგნობრივი საუბარი; უდავო იურიდიული ფაქტია – სოფელი დღეს უფ-

ლებიყრია და რაღაც გასაკვირია, რომ მოკლებულია ყველა შესაძლებლობას, ქვეყნის წინაშე საკუთარი ვალდებულებები, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს მრავალთასწლოვან ისტორიაში, ისევე პირნათლად აღასრულოს;

2. სოფელი, მას შემდეგ, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მისი ტერიტორიული ორგანო ფაქტობრივად გაუქმდა 2014 წლიდან, ალბათ, ყველაზე უცნაური, ადმინისტრაციული ერთეულია (ისეთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც არ ჰყავს საკუთარი ადმინისტრაციული ორგანო?) სამართლის ისტორიაში; მაშასადამე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია სოფლის ტერიტორიული განვითარების რაიმე პოლიტიკაზე საგნობრივი საუბარი, ვინაიდან ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი – სოფლის ადმინისტრაცია, სამართლებრივად აღარც არსებობს!

3. უფლებიყრია და, შესაბამისად, ვალდებულებებისგანაც დაცლილი სოფელი, რომელსაც სამართლებრივად თავისი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ შერჩენია, დეიურეცა და დე ფაქტოც – მოკლებულია საკუთარ სამკვიდროს: სოფლის სასიცოცხლო სივრცე – სათემო მიწა (თუნდაც საძოვარი და სათიბი მიწა, მაგრამ – არა მარტო), სათემო ტყე, წყალი, ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ბუნებრივი რესურსები, საერთო სარგებლობის სამეურნეო თუ კომუნალური ინფრასტრუქტურა და სხვა. რაც თემის საერთო მფლობელობასა და სარგებლობაში უნდა იყოს, უმრავლეს შემთხვევაში მუნიციპალურ საკუთრებაშიც კი არ არის და ისევე, თითქოს გუშინ გამოიცა ლენინის მიწის დეკრეტი, კვლავაც დესპოტური სახელმწიფოს მიერ მიტაცებულია; ტრადიციული ქართული სამართლის თვალსაზრისით სოფლის დღევანდელი მცხოვრები, ვინაიდან მას ყოველგვარი სათემო უფლება აყრილი აქვს, საკუთარი ბედის გამომჭედავი სოფლის ქედმოუსრული და ამაყი მკვიდრი გლეხკაცი კი არა, არამედ ოდენ სხვისი ხელის შემყურე, და ბენაფი, ამიტომაც, უპასუხისმგებლო – ხიზანია!

თუკი სინამდვილეს თვალს გაუხსნორებთ, უნდა ვალიაროთ – სოფლის არსებული მდგომარეობა, მისი სამართლებრივი სტატუსი – ფაქტობრივად სიკვდილ-მისჯილისას ჰგავს და, ბუნებრივია, როგორ უნდა ვილაპარაკოთ მის განვითარებაზე, როცა სრულიად გულგრილად და თანაც ამ ჩვენი ვაი-სამართლის ძალით, სიკვდილი მივუსაჯეთ?!

და აპი გვიკვდება კიდეც! სასოფლო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ღრმად დეპრესიულია და სრული დაცვის საჭიროება – გარდაუვალი! დღევანდელი ამოცანა და სასოფლო პოლიტიკის მთავარი მიზანია, თუკი საბოლოოდ არ ვამოგუთ უარს სოფელსა და სასოფლო პოლიტიკას, ჯერ მისი სინამდვილე, ანუ სამომავლო სიკვდილიდან დახსნა! რაიმე განვითარება სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნება, თუკი სოფელი, როგორც უფლებიყრია და, ამავედროულად, რაც ასევე სასიცოცხლო მნიშვნელოვანია, ეკონომიკური და სამეურნეო სუბიექტიც, ფაქტობრივად, მკვდარი იქნება!

დასასრულ, სოფელი – პირველყოფილია, არის სახლობის ტერიტორიული ერთეული (სამკვიდრო) და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ძირითადი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად აღამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების გაფართოებული აღწარმოებისთვის გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს.

შაბათი კოლუაშვილი, პროფესორი



გაიხსნა ბაკურიანის უაღრესად გზა

დაბა ბაკურიანში 3-კილომეტრიანი შემოვლითი გზის მშენებლობა დასრულდა. სამშენებ-

ლო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა. პროექტის ღირებულებამ 6.3 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

შემოვლითი გზის მშენებლობას კურორტ ბაკურიანის განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შემოვლითი გზის არარსებობის გამო, ბაკურიანში ხშირი იყო საცობები, რაც ტურისტების და ადგილობრივი მოსახლეობის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უშლიდა ხელს. გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ ეს პრობლემა მნიშვნელოვნად მოგვარდება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 3-კილომეტრიანი გზის მშენებლობა, მოეწყო გზის სავალი ნაწილი ბეტონის საფარით, წყალგამტარი მილები, სადრენაჟე სისტემები, მიერთებები, გვერდულები და საფეხბავლო ბილიკები. გზის მშენებლობის სამუშაოები 2018 წლის ივნისში დაიწყო და მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდა.

გარდა აღნიშნული პროექტისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი ბაკურიანში 8 მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს, რომლებშიც მუნიციპალიტეტის მხრიდან დახმარება 55 მილიონ ლარია. ამ პროექტების ფარგლებში, ბაკურიანში

აშენდება მრავალსართულიანი ავტოსადგომი, მიტარებისა და კოხტას საბაგირომდე მისასვლელი გზა და გაფართოვდება ავტოსადგომი დიდველზე, შენდება პოლიციის ახალი ორსართულიანი შენობა, მიმდინარეობს ბაკურიანის ცენტრალური ბილიკისა და გზის მოწყობის სამუშაოები, ბაკურიანის ურბანული განახლების პროექტი და ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. ასევე, ფონდს დაგეგმილი აქვს ბაკურიანისთვის 30-მდე სხვადასხვა სახის სპეციალური ტექნიკის შეძენა.

„კომერსანტი“



წინ, საქართველო!



მართლაც, დეკემბერი!

ტაილანდის ქალაქ პატაიაში გამართული ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით დღეს გენიალურმა ლაშა ტალახაძემ მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონი მეოთხედ გახდა.

ატაცში ქართველმა გოლიათმა 220 კგ. დააფიქსირა და მსოფლიოს მორიგი რეკორდი დაამყარა, აკვრაში კი 264 კგ. დაძლია და ასევე მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა.

ამრიგად, 2015, 2017 და 2018 წლების შემდეგ ტალახაძე მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

სულ წლებიდან ფორუმი ქართველმა შტანგისტებმა 7 მედლით დაასრულეს - 5 „ოქრო“ და 2 „ბრინჯაო“.

ვულოცავთ!

მანუჩარ ბიორაძე

ბრავო!

13-დან 13!

მართალია, გიორგი შერმადინმა ესპანეთის ჩემპიონატის ახალი სეზონი დიდებულად გახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ცენტრი „იბეროსტარ ტენერიფეს“ ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „ბილბაოსთან“ საშინაო მატჩში, რომელიც კუნძულელებმა 67:81 დათმეს.



შერმადინი ტენერიფელთა სასტარტო ხუთეულში დააყენეს და მოედანზე გატარებულ 24 წუთში 23 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა ყველა სროლა ჩააგდო - 10-დან 10 ორქულიანი და 3 საჯარიმო მიითვალა, რაც მისი კარიერის უნიკალური შედეგია. შერმადინის სარგებლიანობის ინდექსმა საბოლოოდ 29 შეადგინა, რაც, რა თქმა უნდა, ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ. დასანანია, გიორგის გარჯა მოგებით რომ არ დაფასდა და ტენერიფელებმა უხეიროდ ჩატარებული მეორე ნახევრის შემდეგ მატჩი უიშეოდო - 14 ქულით დათმეს.

ერთადერთი კუნძულელი, რომელმაც შერმადინს ფეხი აუწყო, ბრაზილიელი მარსელინიო ჰუერტასი გახლდათ, რომელმაც 33 წუთში 21 ქულა მიითვალა, გააჩვენებულ ბილბაოელებს კი ფრანგმა ალექს ბუტილმა ულიდერა 27 ქულით. შემდეგ მატჩს ტენერიფელები დღეს სტუმრად შერმადინის ყოფილ გუნდ „უნიკასასთან“ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ლეგიონერი

გოლი მე-10 წამზე

ბელგიური „ლოკერენის“ რიგებში სადებიუტო გოლის გატანა შეძლო გიორგი ბერიძემ. ჩვენებურის გუნდი ბელგიის თასის 1/16 ფინალში სტუმრად „ანტვერპენს“ დაუპირისპირდა, დამატებით დროში 2:4 დამარცხდა და, შესაბამისად, ტურნირს გამოეთიშა.

მატჩი დრამატული გამოდგა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა - 2:2, ხოლო დამატებით დროში მასპინძლებმა ორი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

ბერიძემ თავის გამოჩენა მე-10 წამზე მოახერხა და იმ დროისთვის თავისი გუნდი



წინ გაიყვანა (1:0). გოლი მართლაც მოხდენილი გამოვიდა - ქართველი მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და მეკარისგან შორეული „ცხრიანი“ დალაშქრა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი „ლოკერენში“ „გენტმა“ ცოტა ხნის წინათ განათხოვრდა და ქართველმა ახალგუნდში დღემდე 4 თამაშის ჩატარება მოახსრო.

გიორგი შოთაძე

რაზი ჩენი თაგზია!

ხვალ - ახალი სისხლით

„ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა იაპონიაში მიმდინარე მსოფლიო თასის ხვალ-ინდელი მეორე მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა და პირველი შეხვედრის შემდეგ გუნდი თითქმის სრულად გადაახალისა.

23 სექტემბერს უელსთან ნათამაშები მატჩის (14:43) შემდეგ სასტარტოში ადგილი მხოლოდ 3-მა მორაგბემ შეინარჩუნა.

12 ცვლილებიდან 5 ხაზში განხორციელდა. 9 ნომრის პოზიციებზე თამაშს გელა აფრასიძე იწყებს, რომელიც წინა მატჩში ვასილ ლოპუნიძის შემცვლელი იყო, ახლა კი მათ როლები გაცვალეს. თედო აბუხანდაძე ერთ-ერთი ის მორაგბეა, რომელიც ამჯერადაც ძირითადშია.

ფრთიდან ცენტრში გადაინაცვლა და ლაშა მალალურაძეს შეუწყვილდება გიორგი კვესელაძე. მალალურაძე უელსთან განაცხადში არ იყო. განაცხადში არ იყვნენ და ამჯერად ფრთებზე იწყებენ თამაშს სანდრო თოდუა და ზურაბ ძნელაძე. თოდუასთვის ეს მე-80-ე, ხოლო ძნელაძისთვის მე-10 სანაკრებო კვირა იქნება. უელსთან სულ რამდენიმე წუთი ითამაშა და ამჯერად ფულბეკის პოზიციაზე ძირითადშია ლაშა სმალაძე.

ტრავმა მოიშუშა და ურუგვაისთან შეცვლაზე ითამაშებს

გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე. ის მოსამზადებელ მატჩში „საუზერნ კინგზთან“ დაშავდა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოსულა. მარქაფაშია სოსო მათიაშვილიც.

მთლიანობაში ჰეიგმა სამხრეთამერიკელებთან სათამაშოდ გამოცდილი ხაზის მოთამაშეები შეარჩია. სასტარტო შემადგენლობაში მყოფი 7 მორაგბის კეპების ჯამური რაოდენობა 304-ს შეადგენს, ხოლო მარქაფაში მყოფების - 129-ს.

ურუგვაისთან საქართველოს ნაკრების კაპიტანი კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე იქნება, რომელიც გახდება 32-ე მორაგბე, რომელსაც აქამდე „ბორჯღალოსანთათვის“ უკაპიტნია. მან უელსთან შეცვლაზე ითამაშა, ახლა კი ძირითადშია.

სულ ჰეიგმა 8-იდან 7 მორკინალი შეცვალა. პირველ ხაზში ბრეგვაძეს მხარს გურამ გოგიჩაშვილი და ლევან



ჩილაჩავა გაუმაგრებენ. უელსთან ისინი მარქაფაში იყვნენ. მარქაფაში გადაინაცვლა მარჯვენა ბურჯმა ბექა გიგაშვილმა, ახალგაზრდა კვაჭი ვანო კარკაძე და გიორგი მელიქიძე კი მსოფლიო თასზე პირველად ითამაშებენ.

მეორე ხაზში ადგილი შეინარჩუნა კოტე მიქაუტაძემ, რომელსაც ლაშა ლომიძე შეუწყვილდება. ლომიძისთვის ეს იაპონიაში პირველი თამაში იქნება. მეორე ხაზში შეცვლაზე შევა მამუკა გორგოძე, რომელმაც უელსთან მესამე ხაზში ძირითადში ითამაშა.

მესამე ხაზში თამაშს ის მორაგბეები იწყებენ, რომლებიც პირველ მატჩში მარქაფაში იყვნენ. ფლანკერები შალვა სუთიაშვილი და ბექა სალინაძე იქნებიან, ხოლო შემკვრელი - ოთარ გიორგაძე. მესამე ხაზის მარქაფაშია ბექა გორგაძე.

მორკინალთა კეპების ჯამური რაოდენობა 324-ს შეადგენს, მარქაფაში მყოფი ფორვარდებისა კი - 119-ს.

შემადგენლობას თუ გადავხედავთ, იაპონიაში პირველად ითამაშებს 7 მორაგბე. ძნელაძეს, კარკაძესა და მელიქიძეს მსოფლიო თასზე დებიუტი ექნებათ.

კოზა კოზახიძე

ოლიმპიზმი

რამდენად სანდოა?



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი თომას ბაჩი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს არწმუნებს, რომ ამომავალი მზის ქვეყანაზედმინეწით ახორციელებს საკვები პროდუქტების კონტროლს.

მან გაეროს შტაბ-ბინაში იაპონიის პრემიერ-მინისტრ სინძო აბეს პირობა მისცა, რომ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქვეყნებს აუწყებს, რომ იაპონიის ხელისუფლება რადიაციულ მონიტორინგს აწარმოებს და რომ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსაცემი საკვები პროდუქტის

უსაფრთხოების სრულ გარანტიას იძლევა.

ათლებებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტოკიოს თამაშებში, პროდუქტებს შესთავაზებენ ფუკუშიმას პრეფექტურიდან, სადაც 2011 წელს ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუშიმა 1“-ზე ავარია მოხდა.

იქაური მთავრობის განცხადებით, იაპონია სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სწორედ ფუკუშიმიდან მარაგდება, რადგან უსაფრთხოების ყველა არსებულ ნორმას შეესაბამება.

პაუან დოლიძე



არაჰინ ისის, როდის გაიხსნება კინოთეატრი „რუსთაველი“

თბილისის მერიის შიდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ კინოთეატრ „რუსთაველის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს დადებითი შეფასება მისცა. როგორც ესკიზიდან ირკვევა, შენობის თავზე ახალი კონსტრუქცია განთავსდება.

როგორც „2020NEWS“-ს თბილისის მერიის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოში განუცხადეს, ესკიზზე თანხმობის მიცემა არ ნიშნავს, რომ კინოთეატრ „რუსთაველის“ რეკონსტრუქცია დაიწყება.

„ესკიზის შეთანხმება არ ნიშნავს ნებართვას, რეკონსტრუქციის დასაწყებად საჭიროა, კიდევ ორი ეტაპის გაგება – პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა“, – განუცხადეს სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში.

„რუსთაველის“ ადმინისტრაციაში კი აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე პროექტზე მუშაობა მომდინარეობს. „ახალ ესკიზში ცვლილებები შევიდა და თანხმობაც მივიღეთ. ამჟამად კინოთეატრის კონსტრუქციაზე, ე.წ. კინოფორუმზე მიმდინარეობს მუშაობა. ზუსტად როგორი იქნება და რა იქნება კინოფორუმში, დეტალურად პროექტის დასრულების შემდეგ იქნება ცნობილი. რაც ამ ეტაპზე შემოიღო გითხრათ, არის ის, რომ მოხდა შენობის კონსტრუქციის რეკონსტრუქცია და რესტავრაცია – არსებულ შენობას დაუბრუნდება ძველი, ანუ ავთენტური სახე. კინოთეატრის დარბაზი აღდგება, იქნება ინფრასტრუქტურა ფესტივალებისა და პრემიერების ჩასატარებლად. დაემატება ახალი ელემენტები, როგორცაა საგამოფენო დარბაზი და კაფეები. ზუსტად რამდენი კინოდარბაზი და საგამოფენო სივრცე იქნება, ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა, რადგან ახლა მიდის კონკონსტრუქციაზე მუშაობა“.

კინოთეატრის გახსნის ზუსტი თარიღი კი ჯერ უცნობია.

„ამ ეტაპზე პროექტზე ვმუშაობთ და ვვარაუდობთ, რომ პროექტზე მუშაობა წლის ბოლომდე დასრულდება. ჩვენ ჯერ შენობას ვერ ვხედავთ. ვერაფრით გეტყვით ზუსტ თარიღს, როდის გაიხსნება კინო „რუსთაველი“.

ჯერ რეკონსტრუქცია ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან გასაუბრებელი. შემდეგ ეს პროექტი შესათანხმებელია შესაბამის სამსახურებთან, მერე ნებართვას უნდა დაველოდოთ და ამის შემდეგ დაიწყება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ახლა რომ გითხრათ, მომავალ სექტემბერს შევხვდებით განახლებულ „რუსთაველში“, ძალიან დიდი ტყუილი იქნება“, – განუცხადეს „2020NEWS“-ს კინო „რუსთაველის“ ადმინისტრაციაში.

შეგახსენებთ, 2018 წლის დეკემბერში, „2020NEWS“-თვის ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, რომ კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში სასტუმრო და რესტორანი განთავსდება. კინოთეატრი „რუსთაველი“, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, უკვე რამდენიმე თვეა, აღარ ფუნქციონირებს. „2020NEWS“-თვის ასევე ცნობილი გახდა, რომ 2018 წლის 12 დეკემბერს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოში შევიდა განაცხადი ესკიზის შეთანხმების შესახებ, რომელიც გულისხმობს „შენობის განვითარებას სასტუმროს მიმართულებით კინოს თემატიკით“.

ესკიზის მიხედვით, შენობაში განთავსდება სასტუმრო, რესტორანი და კინოს ორი დარბაზი.

„კულტურული მემკვიდრეობის საბჭომ ესკიზი დაიწუნა. საბჭო დამოუკიდებელი ორგანოა, თუმცა მას თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი კურიერებს და ასევე, საბჭოში შედიან დამოუკიდებელი ექსპერტებიც. კინო „რუსთაველი“ არის კერძო საკუთრება და მის მფლობელს ვერაფერს დაუშლის საკუთრების გამოყენებას. თუმცა, რადგან შენობა ძველია და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, საბჭოსთან შეუთანხმებლად ვერაფერს გააკეთებენ“, – განუცხადეს „2020NEWS“-ს თბილისის მერიისთვის.

კინოთეატრი „რუსთაველი“ 1939 წელს აშენდა და მიხილ ქაიურელის ფილმით „დიადი განთიადით“ გაიხსნა. შენობას 1988 წელს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2018 წლის 25 ივლისს კი იგი რეკონსტრუქციის მიზნით დაიხურა.

ეს დროულად მისახდია!

ხმაური, ტურისტები და კაღები აბანოთუბანში

ჩემი რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომლებიც ეხებოდა თბილისსა და რეგიონებში ადამიანებზე აკუსტიკური ტერორის გავლენით მთელი რიგი დაავადებების გახშირებას.

სამწუხაროდ, არც ერთი პასუხმგებელი პირისაგან პასუხი არ მიმიღია, მათ შორის არც ჟურნალისტები დაინტერესებულან ამ პრობლემით. ეტყობა, გადატვირთულობის გამო გაზეთებს არ კითხულობენ. ამჯერად უნდა მოკლედ შევახსენო პარლამენტის წევრებსა და მერიის ხელმძღვანელობას მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე.

რაც შეეხება გავრცელებულ აკუსტიკურ ტერორიზმს, ამაში მერიას ვერ უსაყვედურებთ, ვინაიდან ბრალი პარლამენტს მიუძღვის.

დროა, პარლამენტმა გაიწვიოს თავისი შეუსაბამო დადგენილება მოსახლეობის ბინებში ფანჯრებისა და დახურული კარების პირობებში ხმაურის დე-



ციბელებში შემონმების შესახებ. თბილისის მოსახლეობა დიდი ხანია, იბრძვის ხმაურისა და ქალაქში გავრცელებული აკუსტიკური ნაგვის წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვს, ხმაური გაიზომოს არა ძირძველი მოსახლეობის ბინებში, არამედ მათ საცხოვრებელ ტერიტორიებში შემოჭრილ რესტორნებსა და კაფეებში, იქ, საიდანაც მომდინარეობს ხმაური. პრინციპში ეს ადვილი გადასასწავებია, მერიას ხელები უნდა გაეხსნას, რათა მათ ხმაურზე ტელეფონის ზარის საპასუხოვად განახორციელონ სათანადო ჯარიმები. რაც შეეხება ქალაქის ტურისტულ უბნებში მანქანებით გადატვირთულობას და მოხე-

ტიალე ძაღლებს, ამის დასადასტურებლად გაზეთს ვუგზავნი სურათებს, სადაც ნათლად ჩანს უცხოელ ტურისტულ ჯგუფებთან ძაღლების „თანამშრომლობა“. ხშირია ტურისტებისადმი ძაღლების აგრესიული ყეფა. სურათებზე კარგად ჩანს ძაღლებისგან შემკრთალი და შეშინებული ტურისტები. ვფიქრობ, ეს საკითხები სადავო არ არის, საჭიროა ამ პრობლემების დროულად მოგვარება.

თბილისელებისა და გურისგული უბნების მოსახლეობის სახელით 1989 წლიდან თბილისელის ორგანიზაციის წევრი პროფესორი ნუზუარ ალიქსიძე

შენი შესაძლებლობები, ადამიანო!

ადამიანის თავის ტვინის ინსტიტუტში, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედის, ახალი კვლევებით მეტად საგულისხმო შედეგები მიიღეს. კერძოდ, მეცნიერებმა აღმოაჩინეს ტვინის სისტემების ახალი კლასი, რომლებსაც „დაფარულები“ უწოდეს.

მეცნიერები აღიარებენ, რომ სადღეისოდ ვერ ახერხებენ თავის ტვინის მუშაობის ლოგიკის გაგებას. ცნობილია, თუ როგორ ვრცელდება მასში იმპულსები, მაგრამ არაფერი იციან იმის შესახებ, თუ რატომ არის, რომ გადანაცვლების მიღებისას ის მინცვლადმინც ასე და არა სხვანაირად ფუნქციონირებს.

ამასთან, დედამიწაზე არსებული ყველა კომპიუტერის ჯამური სიმძლავრე ნაკლებია ერთი ადამიანის თავის ტვინის სიმძლავრესთან შედარებით. არადა, მაშინ, როცა გამოთვლითი მანქანების ენერგითი მოსამარბებლად და გაგრილებაზე აუარება

ყველა კოვანიუბარზე უფრო მძლავრი



თარი თავის შესახებ მხოლოდ თავად ტვინმა იცის... მეცნიერებმა იციან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (ვთქვათ, კლინიკური სიკვდილის დროს), თავის ტვინში ზოგიერთი აკრძალვა და შეზღუდვა აღარ მოქმედებს. ეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ხდება, როცა ტვინი იმ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის მსგავსად ითიშება, სადაც ერთი მიკროსქემა, ვთქვათ, 6 ვოლტზე მუშაობს, მეორე – 9 ვოლტზე, მესამე კი – 12-ზე. როცა დაძაბულობა ეცემა, ეს პლატები მუშაობას წყვეტენ ერთი მეორის მიყოლებით. თავის ტვინში კი პირველები ილუპებიან „სამუხრუჭე“ ნეირონები, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში დაშვებული ზღვარის გადალახვის შესაძ-

ლებლობას არ იძლევა. გარდა ამისა, ავადმყოფობის დროს გენიალურ ადამიანებს შეიძლება გონების უჩვეულო მდგომარეობები წარმოეშვათ. კერძოდ, ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ წმინდა ნიგნეტის უმრავლესობა, ვთქვათ, ბუდისტური ტექსტების გარკვეული ნაწილი, გონების შეცვლილი მდგომარეობის პირობებშია დაწერილი, როცა მათი ავტორები ფიქრს სხვებისგან რადიკალურად განსხვავებულად იწყებდნენ. მედიტაციაც სამყაროს ასეთივე აღქმის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანი თავისებურად აზროვნებს და ირგვლივ ყველაფერს განსხვავებულად აღიქვამს. ამავდროს, სავსებით დასაშვებია, რომ მაშინ თავის ტვინი თავისუფლების განსაკუთრებულ ხარისხს აღწევს და სწორედ მაშინ ჩნდება მეტად უცნაური

აღიარება

ნიკოლოზ რაჭველს ხელახლა მიენიჭა საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდის ელჩის წოდება.

ნიკოლოზ რაჭველი UNICEF-ის კეთილი ნების ელჩია



პასან ხალილი: ბავშვისთვის ყველა უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია პარტნიო-

გორც ბავშვთა ფონდის ელჩთან საქართველოში იგი აქტიურად მუშაობს გაეროს ბავშვთა ფონ-

ნიკოლოზ რაჭველი: ძალიან მოხარული ვარ, რომ ვაგრძელებ მუშაობას, როგორც UNICEF-ის ელჩი საქართველოში.

რევაზ თოფურია

ნიკოლოზ რაჭველი ელჩის წოდებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში ატარებს.

UNICEF-ის წარმომადგენელმა, დოქტორმა ჰასან ხალილიმ და ნიკოლოზ რაჭველმა სასტუმრო RADISSON-ში საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთ-

რობა. მოხარული ვართ, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას ნიკოლოზ რაჭველთან, რო-



ბრიტანული პროფესიონალი ენოლოგების შეფასებით ქართული ღვინო უნიკალურია

საქართველოს ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების II-კაციანი ჯგუფი ეწვია, რომლის შემადგენლობაში სომელიეები, ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები არიან.

ტურის ფარგლებში სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ და ადგილზე დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინოები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მესხუბლა ბრიტანელ პროფესიონალებს კახეთში, ერთ-ერთ ღვინის საწარმოში შეხვდა.

„დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა. წელიწადის ამ საუკეთესო დროს, რთველის პერიოდში, მათი საქართველოში ვიზიტის მიზანია ქართული ღვინის პოპულარიზაცია და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.“

ბრიტანელი პროფესიონალების შეფასებით, საქართველო გა-მოირჩევა მეღვინეობის მდიდარი ისტორიით, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით, ღვინის დაყენების ტრადიციებითა და უნიკალური ღვინოებით.

HTTP://ACCENTNEWS.GE

მექანიკური ლომი ლონარდო და ვინჩის ნახატიდან

იტალიაში ინჟინრებმა ლონარდო და ვინჩის გარდაცვალებიდან 500 წლის შემდეგ მისი ნახატიდან მექანიკური ლომი შექმნეს, წერს Tec-

ნოცილ-ი. ლომის სიგრძე 3 მეტრია, სიმაღლე 2 მეტრი. ნამუშევარი ხეშია შესრულებული და აქვს მექანიკური ზამბარები კიდურების ასა-

მოძრაველად. ლომი გადაადგილდება თავის იმიტაციით და შეუძლია მინაზზე ყვავილების დადება.



პირველი კიბერსპორტული სასტუმრო

იბაონიში, ქალაქ ოსაკაში მსოფლიოში პირველი კიბერსპორტული სასტუმრო Esports Hotel E-Zone Cyberspace აშენდება, წერს Tec-

ნოცილ-ი იაპონურ მედიაზე დაყრდნობით. უკვე ცნობილია, რომ პირველ სართულზე განთავსდება საშ-

ხაპები, მეოთხესა და მეორეზე საძინებლები, მეშვიდეზე კი „ლუქს“ კლასის ოთახები, სადაც სათამაშო კომპიუტერები დამონტაჟდება.

იაპონური ახალი ამბების სააგენტო Fashion Snap-ი წერს, რომ 9-სართულიანი სასტუმროს 3 სართულზე კომპიუტერული თა-

მაშების 70 პლატფორმა განთავსდება. სასტუმროს მომსახურებით არა მხოლოდ კიბერსპორტის ფანები, არამედ ყველა მსურველი ისარგებლებს.

მომავალში სასტუმროში იგეგმება კიბერსპორტული ტურნირების ჩატარება.

იაპონიაში კიბერსპორტული სასტუმრო 2020 წელს გაიხსნება.

მომსახურების ფასების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ ვრცელდება.

საქართველოს რესპუბლიკა
საგარეო ურთიერთობების მინისტრის აპარატი
საგარეო ურთიერთობების მინისტრის აპარატი

Table with exchange rates for various currencies and gold prices.

საქართველოს რესპუბლიკა
საგარეო ურთიერთობების მინისტრის აპარატი
საგარეო ურთიერთობების მინისტრის აპარატი